645
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

4 ISSN 0321-1500
1987



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ქალიშვილი

დ. იაკობაშვილის ფოტო

,,საქართველოს ქალი''
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი — მოქანდაკე საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მ. ყიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი რევოლუციონერი ქალები

> ვლადიმერ ილიას ძე ლენინი დაუღალავად გვასწავლიდა, ღრმად გავცნობოდით ცხოვრებას, მუდამ ხალხში გვეტრიალა, კარგად გვცოდნოდა მშრომელთა ინტერესები და მოთხოვნილებები, დავუფლებოდით მასების უმდიდრეს გამოცდილებას.
>
> ე. დ. სტასოვა

მოსკოვში, წითელ მოედანზე, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის გასწვრივ, წითელი აგურით ნაგებ კრემლის გალავანთან სხვადასხვა რესპუბლიკიდან, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ადამიანები დიდხანს ჩერდებიან იმ წარწერების წინ, სადაც სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული პროფესიონალი რევოლუციონერი ქალების ელენე დიმიტრის ასულ სტასოვას და როზალია სამოელის ასულ ზემლიაჩკას ურნებია მოთავსებული.

რევოლუციური მოძრაობის ძველი მოღვაწენი: ელენე სტასოვა, 1898 წლიდან სკკპ წევრი და როზალია ზემლიაჩკა, 1896 წლიდან სკკპ წევრი, მრავალი წლის განმავლობაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ.

ე. სტასოვა და რ. ზემლიაჩკა თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის გარკვეულ პერიოდში ქართველ რევოლუციონერებთან ერთად ვ. ი. ლენინის დავალებით თბილისისა და საქართველოს სხვა კუთხეების ბოლშევიკი პროპაგანდისტები იყვნენ.

ელენე სტასოვა და როზალია ზემლიაჩკა 17 წლის ასაკში კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის უკვდავ მოძღვრებას ეზიარნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გზას დაადგნენ. მათ ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის საქმიანობა მთავარ საქმედ იწამეს, ოჯახური უზრუნველი ცხოვრება უარყვეს და მშრომელი ხალხის სამსახურში ჩადგნენ. ე. სტასოვა 1902-1903 წლებში რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მდივანი, ჩინებულად უძღვებოდა კომიტეტის მთელ საქმიანობას, მინსკსა და ორიოლში, სმოლენსკსა და ვილნიუსში პარტიულ მუშაობას ეწეოდა. განათლებული, უცხო ენების კარგი მცოდნე სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციებთან მიმოწერას აწარმოებდა; წლების განმავლობაში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო.

დგეხარ კრემლის გალავანთან და საქართველოში რევოლუციური, ისტორიული მოვლენების მატიანეს იხსენებ.

1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოს ბოლშევიკებმა რეაქციის მძიმე წლებში მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ ლეგალურ ორგანიზაციებში ბრძოლა გააძლიერეს. 1907 წელს პატიმრობიდან განთავისუფლებული ე. სტასოვა თბილისში ჩამოდის. „ლიტერატურული ბიუროს" წევრი არალეგალურ მუშათა წრეებში აქტიურად მუშაობს, პარტიის პოლიტიკის პროპაგანდას ეწევა. „ლიტერატურული ბიუროს" გაუქმების შემდეგ ე. სტასოვა რსდმპ თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის პროპაგანდისტული საქმიანობის აქტიური მონაწილეა. დაპატიმრების შემდეგ კი რსდმპ თბილისის ჯგუფის ხელმძღვანელ წრეში ს. სპანდარიანთან, პ. არველაძესთან, ვ. ძნელაძესთან ერთად საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის მუშაობს.

1911 წლიდან შეიქმნა რსდმპ თბილისის არჩევითი წრე. ე. სტასოვა იყო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის მდივანი, რომელიც ვ. ი. ლენინთან, ნ. კ. კრუპსკაიასთან, გ. კ. ორჯონიკიძესთან საქმიან კავშირს ამყარებდა. ე. სტასოვა ამ პერიოდში გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" და „რაბოჩაია გაზეტაში" თანამშრომლობდა, სადაც საქართველოს პარტიულ ცხოვრებას აშუქებდა. განსაკუთრებით დიდია ე. სტასოვას ღვაწლი ს. სპანდარიანთან ერთად რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მუშაობაში, რომელმაც 1912 წელს პრაღის პარტიული კონფერენცია მოამზადა. ამ პერიოდში ე. სტასოვა მენშევიკ-ლიკვიდატორებს ებრძოდა, რომლებიც პრაღის კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგნი იყვნენ.

1911 წლის 3-6 ოქტომბერს თბილისში ანდრეევის ქუჩაზე (ამჟამად ორჯონიკიძის ქუჩის №13 სახლში), ე. სტასოვას ბინაში შედგა თბილისის, ბაქოს, კიევის, ეკატერინბურგის, ეკატერინოსლავის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირი 29 სექტემბერს ბაქოში გაიხსნა. პოლიციის დევნის გამო იძულებული გახდნენ პირველი სხდომის შემდეგ თბილისში გადმოენაცვლათ. თათბირის გადაწყვეტილებით შეიქმნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომელმაც რეზოლუცია და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი მიმართვა მიიღო.



ე. სტასოვა

1912 წლის 16 ივნისს რსდმ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლექტივის საქმიანობის გამო ე. სტასოვა პეტერბურგში დააპატიმრეს, თბილისში ჩამოიყვანეს, საგუბერნიო ციხეში ჩასვეს, 1913 წლის მაისში სურენ სპანდარიანთან, ვერა შვეიცერთან და სხვებთან ერთად გაასამართლეს და ციმბირში, ენისეის გუბერნიაში გადაასახლეს.

დგეხარ კრემლის გალავანთან და კითხულობ წარწერას! 1947 წლის 21 იანვარს აქ დაიდგა როზალია სამოელის ასულ ზემლიაჩკას ურნა. რ. ზემლიაჩკა იყო საოცრად სიმპათიური, ქალური სინატიფის, ამავე დროს საბჭოური ცხოვრების წესის დამრღვევთა წინააღმდეგ მკაცრი და დაუნდობელი. იგი სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა.

რევოლუციურ ბრძოლებში გამობრძმედილი ქალის სახე ჩვენთვის კიდევ უფრო მომხიბლავი ხდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო



რ. ზემლიაჩკა

18474

წელს, როდესაც საქართველოში რ. ზემლიაჩკას ყოფნის ისტორიული ამბები გვაგონდება.

რ. ზემლიაჩკა მონაწილეობდა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გამართულ 22 ბოლშევიკის თათბირში, რომელმაც მესამე ყრილობის მოწვევისათვის მიმართვა მიიღო. 22 ბოლშევიკის ამ „მიმართვას" ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა რ. ზემლიაჩკამ ვ. ი. ლენინის დავალებით ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში იმოგზაურა, მათ შორის ბაქოსა და თბილისში, კავშირი დაამყარა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან, თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს და ბათუმის კომიტეტებთან, რევოლუციონერებს გააცნო პარტიაში შექმნილი მდგომარეობა, 22 ბოლშევიკის „მიმართვა პარტიისადმი" და მოუწოდა მათ რსდმპ მესამე ყრილობის მოწვევისათვის გაეჩაღებინათ მუშაობა. ამის შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს, ბათუმის და გურიის კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს 22 ბოლშევიკის მიმართვას და რსდმპ მესამე ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას.

ვ. ი. ლენინმა დიდი შეფასება მისცა რ. ზემლიაჩკას მუშაობას, იგი წერდა: „...თქვენს დიდ მუშაობას 15 კომიტეტის მიმხრობისათვის და სამი კონფერენციის ორგანიზაციისათვის ჩვენ საგანგებოდ ვაფასებთ".

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავისათვის მზადების პერიოდში ქართველ რევოლუციონერებთან ერთად მოწიწებით იხსენიებენ რუსი ხალხის საუკეთესო მებრძოლ შვილებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში.

**თამარ ცხვედიანი,**
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



# კომუნისტი

დღეს ჩვენი საზოგადოება შრომაში თავდადებულ ქალთა ბევრ სახელს იცნობს. მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ხალხის განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ.

ხალხის სიყვარული მორალური ჯილდოა და იმ ბედნიერ პიროვნებათა წილხვედრი, ვინც თავდადებულ, უანგარო და პატიოსან შრომას მდიდარ შინაგან სამყაროს უხამებს. თავმდაბლობა, გულისხმიერება, სამართლიანობა პირად თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში არის მრავალთაგან მათი გამორჩევის საფუძველი. ისინი მომავალი თაობების აღზრდისათვის საუკეთესო მაგალითსაც იძლევიან.

ერთ-ერთი მათგანია პარტიის ახალციხის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე ჟენია ბლუაშვილი. როცა მის შესახებ ვწერთ, თამამად გამოვხატავთ ჩვენი რაიონის საზოგადოების აზრს. ეს ერთად თქმული მადლობაა, უმწიკვლო კომუნისტისათვის, სამაგალითო ქალისათვის ნათქვამი.

მან ღრმაშინაარსიანი ცხოვრების ნათელი გზა განვლო.

ღარიბი გლეხის შვილმა თავისი ბავშვობა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ მაქათუბანში გაატარა. ღორეშის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაასრულა.

ომი დაიწყო. ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ ქალიშვილს ოცნებები გაუქრო, ნაადრევად დააფიქრა. ახალგაზრდული სილაღე სამშობლოსთვის, წითელი არმიისთვის, ოჯახისთვის ზრუნვით დამძიმდა. თავისი სოფლის კოლმეურნეობის წევრი, კომკავშირელი გოგონა ვაჟკაცურად შრომობდა და ფრონტზე წასულ ძმას ამხნევებდა. ენერგიული ქალიშვილი მალე სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად აირჩიეს.

1944 წელს სოფელმა მესხეთში გადაინაცვლა. ოჯახთან ერთად ჟენია ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში დასახლდა. სასოფლო საბჭოს მდივნად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნადაც აირჩიეს.

კომუნისტისათვის ჩვეული პრინციპულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამსახურებრივ თუ საზოგადოებრივ დავალებებს, რაც რაიონის ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩა. 1951 წელს ჟენია პარტიის ახალციხის რაიკომის მდივნის თანაშემწედ გადმოჰყავთ, შემდეგ კი საერთო განყოფილების გამგედ იწყებს მუშაობას და უმწიკვლოდ ასრულებს თავის მოვალეობას.

25 წელია რაიკომის წევრია. უკანასკნელი ათი წელი უცვლელად ირჩევენ პარტიის ახალციხის რაიკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

მუდამ ცოდნის შეძენისაკენ ისწრაფოდა, მუშაობდა და სწავლობდა.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება და ფრიადზე დაიცვა დიპლომი — „საქართველოს კოლმეურნე გლეხობა დიდ სამამულო ომში".

უდრეკი ნებისყოფის ქალს არასოდეს შინებია სიძნელეებისა, გვერდით მდგომნიც გაუმხნევებია, მათთვის იმედი და რწმენა შთაუნერგავს. ამ გზით მივიდა ხალხის გულებამდე. ხალხმა აღიარა და შეიყვარა. ამიტომ არის, რომ ქალბატონი ჟენია მრავალჯერ აირჩიეს სასოფლო, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

მისი შრომითი თავდადება მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა. 1983 წელს იგი „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს. ჟენია ბლუაშვილი პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. იგი ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. მშრომელები მასთან რჩევისათვის მოდიან. ისიც ყველას ყურადღებით უსმენს, არიგებს, ეხმარება.

თავმდაბალი, სამართლიანი, პრინციპული, — ასე იცნობენ ახალციხეში ქალბატონ ჟენიას. მას არ ამძიმებს წელთა სიმრავლე, დღესაც ჩვეული ენერგიით და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას.

**ნათელა მოხევიშვილი,**
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

გარეკანის გვერდებზე წარმოდგენილი არიან საკავშირო კომკავშირის XX ყრილობის დელეგატე ნინო სიხარულიძე და საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი ლიკა ქავჟარაძე





# ჩემი კომკავშირი

...ასე იტყვის ყველა ახალგაზრდა — ქალიშვილი თუ ჭაბუკი, ვისაც კომკავშირული ნიშანი სკოლაში, მე-8 კლასში გულზე მიუბნევია, ვინაც ერთგულია ამ მარად ახალგაზრდული ორგანიზაციისა, იცნობს მის უფლებამოსილებას, მოვალეობას, სიტყვა-სიტყვით იცის და ახორციელებს წესდების ყოველ დებულებას.

ჩემი კომკავშირი — ასე ამბობდა ყველა დელეგატი საქართველოს კომკავშირის 33-ე ყრილობისა, როცა ისმენდა საანგარიშო მოხსენებას, როცა ყურს უგდებდა და სათავისო სამუშაო პროგრამად ისახავდა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელის ჯუმბერ პატიაშვილის საუბარს.

დარბაზში, მრავალთა შორის ერთი ქალიშვილი შეინიშნებოდა — თბილისის მე-10 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ნინო სიხარულიძე. იგი საქართველოს კომკავშირის 33-ე ყრილობის მუშაობაში მთელი არსებით ჩაება... უსმენდა სიტყვაში გამოსულებს, უკვირდებოდა ბევრ საჭირბოროტო საკითხს და თავისი პიონერები ახსენდებოდა, ის 864 ნორჩი, ხალასი გოგონა და ბიჭუნა, რომელთა ბედიც აბარია, რომელთაც პატრიოტებად და შრომის მოყვარეებად ზრდის.

მე-10 საშუალო სკოლაში პიონერული ცხოვრება ჩქეფს. იქ ყველა მოსწავლეს ესმის, რა საპატიოა იყო პიონერი — ესე იგი, მოწინავე სწავლაშიც და შრომაშიც. სკოლაში გატარებული ყოველი დღე, ნინო ხელმძღვანელთან ყოველი შეხვედრა ბავშვებს საინტერესო საქმიანობით ავსებს. ისინი შეზღუდულნი არ არიან თავიანთი საკითხების გარკვევაში, თავად წყვეტენ, თუ ვის შეუძლია იყოს რგოლის, რაზმის, რაზმეულის ხელმძღვანელი. მათ ინიციატივას არ ბოჭავს უფროსების, პედაგოგების ზედმეტი მეურვეობა, კარნახი. ამიტომ პიონერები თავისუფლად აქტიურობენ, იციან, როგორ აამაღლონ პიონერული ორგანიზაციის ავტორიტეტი და პატივისცემით ეპყრობიან, უფრთხილდებიან მას.

აი, როგორ წარმართავს პიონერულ საქმიანობას სკოლაში ნინო სიხარულიძე! იგი კომკავშირის თბილისის ლენინის რაიონული კომიტეტის წევრია, შემოქმედებითად მუშაობს ქალაქის უფროს პიონერხელმძღვანელთა პრობლემურ საბჭოში, არჩეულია თბილისის პიონერული საბჭოს წევრად, წარდგენილია საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშანზე „საუკეთესო პიონერხელმძღვანელი", ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს, აპრილში, როგორც დელეგატი, მონაწილეობდა სრულიად საკავშირო კომკავშირის მე-20 ყრილობის მუშაობაში... მოსკოვში მას თან გაჰყვა ის განწყობილება, რომელიც საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე მიიღო.

...საქართველოს კომკავშირელთა ფორუმზე, დარბაზში, მრავალთა შორის ლიკა ქავჟარაძეც გახლდათ — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, ახალგაზრდა მუსიკოსთა ახალგაზრდა აღმზრდელი. მას კარგად იცნობენ როგორც კინომსახიობს, როგორც პედაგოგს კი — ნაკლებად. ლიკას ახალგაზრდებთან უხდება ურთიერთობა. ლიკა მათი მეგობარია. იგი მარტო მუსიკის სამყაროს კი არ აცნობს აღსაზრდელებს, არამედ სისპეტაკის, კარგი მოქალაქეობის, საქმისადმი გულშემატკივრობის ნაპერწკალს უღვივებს, მიზანს უსახავს და მისი მიღწევის უთუო აუცილებლობაში არწმუნებს. ამას თავისი პირადი მაგალითით, გულახდილი საუბრებით, ყოველდღიური კონტაქტებით აღწევს.

ყრილობამ მას ბევრი რამ უკარნახა სამომავლო საქმიანობისათვის, ბევრი კარგი აზრი და იდეა დაუსახა.

საქართველოს კომკავშირის დიდი ფორუმის ყველა მონაწილემ მოისმინა და სწორად გაიგო, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ფორმალიზმის ტყვეობისაგან. ფორმალიზმითა და თვალისახვევით კი იწყება ბევრი არაჯანსაღი გამოვლინება, მოჩვენებითობა, ქალალდომანია. ყრილობამ კომკავშირლებს დაუსახა გზები, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ბიუროკრატიზმს, დრომოჭმულობას, ინერტულობას, როგორ უნდა გააჯანსაღონ ატმოსფერო.

ამაღლდეს კომკავშირის როლი და ავტორიტეტი, მისი პასუხისმგებლობა გარდაქმნის ბედისათვის! — ასეთია ყრილობის თითოეული მონაწილის საბრძოლო ამოცანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორმოცი წელი გაილია...



ზაირა ალხანიშვილი   სხდომათა დარბაზში

მიჰყავები ქუჩას, გზის ორივე მხარეს ლამაზი, ორსართულიანი, აგურით ნაგები სახლები რომ ამშვენებს და უმალ მიხვდები, რომ აქ, ამ სოფელში ნამდვილად მშრომელი ხალხი ცხოვრობს. ყველას აქვს კეთილმოწყობილი ბინა, ეზო-კარმიდამო, განათება, გათბობა, ტელევიზორი. შრომამ აზიარა სოფელი ცხოვრებას, კულტურას. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, დიასახლისი თუ პენსიონერი საკოლმეურნეო საქმიანობაშია ჩაბმული, ყველასა აქვს თავისი წვლილი სოფლის სიმდიდრესა და სილამაზეში. და ეს ეამაყებათ კიდეც.

ასე იშრომა და იმარჯვა სახელოვანი რევოლუციონერის, ალიოშა ჯაფარიძის მოსახელე სოფელმა ჯაფარიძემ, მისმა უცვლელმა თავკაცმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ ყოჩიაშვილმა. ამ სოფელში აღიზარდა მთელი პლეადა უვარსკვლავო და ვარსკვლავიანი გმირებისა, ვინც საკოლმეურნეო შრომის სიკეთე შეიგნო და შეისისხლხორცა.

სულ ახლახან კოლმეურნეობამ დაარსების 60 წლისთავი აღნიშნა. ეს არა მხოლოდ ამ სოფლის და კოლმეურნეობის, არამედ მთელი წითელწყაროს რაიონის მშრომელთა ზეიმი იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად შვიდმა კოლმეურნემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი დაიმსახურა.

მათ შორის არის სოციალისტური შრომის გმირი ზაირა ალხანიშვილი. მან ორმოცი წელი საკოლმეურნეო შრომაში გალია. მის მკერდს ამშვენებს გმირის ვარსკვლავი. მას მარტო სოფელში და რაიონში კი არა — მთელს რესპუბლიკაში იცნობენ. სახელი და დიდება ზაირამ თავდადებული შრომით მოიპოვა. კარგად უთქვამს ხალხს: იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ სად მუშაობ, არამედ იმას, თუ როგორ შრომობ, რა გულით ემსახურები შენს ქვეყანას.

ოც წელზე მეტია, რაც ზაირა კომუნისტის სახელს ატარებს და ყოველთვის სათუთად უფრთხილდება მას. აწონ-დაწონის სიტყვას და რასაც იტყვის, რასაც ივალდებულებს, ასრულებს კიდეც. სიძნელეებს, გაზრდილ გეგმებს, ვალდებულებებს ის არასოდეს უშინდება.

ამ ათიოდე წლის წინათ, 1976 წელს, ბრიგადას, სადაც ზაირა მუშაობს, წელიწადში 520 ტონა რძის მიღება დაუგეგმეს. ბრიგადის წევრებს ნანა არაბულს, სარდიონ ყოჩიაშვილს, შუშანა ჩოქურს ჰქონდათ ერთი მითქმა-მოთქმა — ეს რა ამბავია, ამას როგორ შევძლებთ, გეგმას რომ ვერ შევასრულებთ, პრემიებსაც დავკარგავთო.

პირველი სიტყვა ზაირამ თქვა: თითოეული ფურიდან წელიწადში 4 ათასი კილოგრამი რძის მიღება ივალდებულა. ეს იმ დროისათვის, მართლაც წარმოუდგენელი, სარეკორდო იყო რაიონში, რესპუბლიკაში, მაგრამ იკისრა და შეასრულა კიდეც.

ზაირამ და ესტონელმა მწველავმა ლეიდა პეიფსმა პრესის საშუალებით გაიცნეს ერთმანეთი, შემდგომში კი ურთიერთიც მოინახულეს. როცა თავის კოლეგაზე საუბრობდა, ზაირა სინანულს გამოთქვამდა:

ლეიდა თითოეული ფურიდან წელიწადში 5 ათას კილოგრამ რძეს იღებსო; რასაც ვაკეთებთ, არ არის საკმარისი, უნდა ვისწავლოთ უკეთესად შრომაო.

იმ დღიდან, რაც ზაირა ესტონელი მწველავის ლეიდას საქმიანობას გაეცნო, ჩაება მასთან შეჯიბრებაში. ბრიგადაში სხვა ცხოვრება დაიწყო. ზაირამ მოსვენება არ მისცა ბრიგადირს, ფერმის გამგეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, შეგვიქმენით პირობები და დაინახავთ, რომ ჩვენც შეგვძლებია უკეთ შრომაო.

ჩვენ რომ გვქონდეს ისეთივე საკვების შესამზადებელი საამქრო, როგორც ესტონელებს აქვთ, ტრანსპორტიორები, მაცივრები და სხვა, პროდუქციაც და მისი ხარისხიც მაშინ ნახეთო!

ერთხანს შეყოვნდა სამაცივრო დანადგარის დამონტაჟება. ზაირა არ ისვენებდა, კოლმეურნეობის გამგეობა, „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილება ჯერ პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე (რომლის წევრიც იგი არის), ხოლო შემდეგ რაიონულ გაზეთში გააკრიტიკა.

...ბევრი რამ გაკეთდა მას შემდეგ და ყოველივე თითქმის ერთ წელიწადში. ბრიგადაში ახლა ყველა ძირითადი სამუშაო — პირუტყვის საკვების შემზადება, საკვებურებში მისი დარიგება, საქონლის დარწყულება, წველა, სადგომებიდან ანარჩენების გატანა მექანიზებული წესით ხდება. ყოველივე ამან კი ის განაპირობა, რომ ბრიგადაში ახლა ათის ნაცვლად ოთხი მწველავი მუშაობს. ისინიც შენაცვლებით ასრულებენ საქმეს, თითოეულს საწველად და მოსავლელად adრინდელი 20-ის ნაცვლად 50-60 სული ფური ჰყავს გაპიროვნებული. რა თქმა უნდა, ამის გამო, აგრეთვე შრომის დისციპლინის ამაღლებით, საკვების ეკონომიური ხარჯვით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა დანახარჯები, პროდუქციის თვითღირებულება. მოკლედ რომ ვთქვათ, კარგ მიზანს, მოწადინებას, საქმის სიყვარულს, კარგი შედეგები მოჰყვა.

ზაირა დაუზარელია არა მარტო შრომაში, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხალისით ასრულებს პარტიულ დავალებას. იგი ბრიგადის აგიტატორია და ჩვენი ქვეყნის სიახლეებს ბრიგადის წევრებს აცნობს.

მისი საუბრების მთავარი თემაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გარდაქმნა, დაჩქარება, რომლებსაც სკკპ 27-ე ყრილობამ მისცა დასაბამი. ამას ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი თავის სიტყვაში მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა პროფკავშირთა საკავშირო ყრილობაზე.

— გარდაქმნა, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვახდინოთ ჩვენში, ჩვენს შეგნებაში, ჩვენს საქმიანობაში, — ეტყვის ხოლმე ზაირა თანამოსაქმეებს. ჩვენი ვალია ხალხს მივცეთ რაც შეიძლება მეტი და ხარისხიანი პროდუქტიო.

ნათქვამია: ოჯახის ლაზათი ჭიშკრიდან იწყებაო. სოფელ ჯაფარიძის სარძევე-სასაქონლო ფერმა, ბრიგადის კარმიდამო, სადაც გმირი მწველავი მუშაობს, მწყემსთა საცხოვრებელი სახლი ისეა მოწესრიგებული და მოწყობილი თანამედროვე ავეჯით, ტელევიზორით, გათბობით თუ განათებით, რომ გაგეხარდება. რა თქმა უნდა, ამაში ზაირას ხელიც ურევია.

ზაირა არაერთხელ იყო არჩეული რაიონული პარტიული კონფერენციის, საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატად, არის პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაიკომის ბიუროს წევრი. მის მკერდს ოქროს ვარსკვლავის გარდა, მრავალი ორდენი და მედალი ამშვენებს.

შევეკითხეთ და გაიღიმა: ზაირას ახალი ვალდებულებები უკისრია დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავისათვის.

ვალ. მჭედლიშვილი

### სიახლეები, ძიებები

# რაციონალიზატორი

გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს ხშირად უცნაურ ხალხად მიიჩნევენ, ნამდვილად კი ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია უკავიათ და ამასთან დიდი მხარდაჭერა და თანადგომაც სჭირდებათ — უნდა გესმოდეს მათი შემოქმედებითი წვისა, მათი ჩანაფიქრისა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაჩქარებით დანერგვაში დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მუშა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს. მათმა შემოქმედებითმა საქმიანობამ უნდა წარმოაჩინოს მომავლის რწმენით, საკუთარი ღირსების გრძნობით განმტკიცებული მიზნები და მისწრაფებები.

ამ შემოქმედი ხალხისა უთუოდ უნდა გწამდეს, ამიტომ თავადაც შემოქმედი უნდა იყო, დიდი გულისყურით უნდა მიუდგე მათს ნააზრევს.

საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი" განსაკუთრებით გამოირჩევა შემოქმედი მუშებით, რომელთა დიდი ქომაგი და თანამდგომია რაციონალიზაციისა და გამოგონების განყოფილების უფროსი იზოლდა ლამბაშიძე. სჯერა იზოლდას, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც საწარმოო, ტექნოლოგიური პროცესის, გამოსაშვები პროდუქციის კონსტრუქტიულ დახვეწას ემსახურებიან, ე. ი. მეურნის თვალით, როგორც საკუთარ ოჯახში, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ სახალხო დოვლათის შექმნის საქმეში. ამიტომაც სჭირდებათ მათ ისეთი კომპეტენტური, მზრუნველი მრჩეველი, მხარდამჭერი სპეციალისტი, როგორიც იზოლდა ლამბაშიძეა. იგი საამქროებში ტრიალებს, ისიც იცის, ვინ გამოირჩევა კვიმატი შემოქმედი ნიჭით. რაც უნდა უმნიშვნელო რაციონალიზატორული წინადადება იყოს, მასში ჰპოვებს საწარმოსათვის საჭირო მარცვალს და არც დაახანებს მის აღიარებას. აი თუნდაც ავიღოთ საამწყობო საამქრო. აქ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადები მუშაობენ. ელექტრონული სქემის თუნდაც პატარა ცვლილებას მთლიანად გამოჰყავს მანქანა მწყობრიდან. ამიტომაც მონტაჟის გამართვაში დიდი წვლილი შეაქვთ მუშა რაციონალიზატორებს. ი. ლამბაშიძე განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება მათ: სიმონ ხრიკაძეს თუ ოთარ კვინტრიძეს, კახი ფეიქრიშვილს თუ ჯუმბერ პაპუაშვილს, თემურ დალაქიშვილს თუ დათო ცხადაძეს. ეამაყება, რომ თავად სახელოვანი გურამ მეტონიძის მრავალი რაციონალური წინადადების საქმედ ქცევის თაოსანი ყოფილა. მისივე ინიციატივით წარმოებაში სოცშეჯიბრება გაიშალა დევიზით — „ყოველ კომპლექსურ ბრიგადაში ყველა რაციონალიზატორი იყოს". და აი შედეგიც: რესპუბლიკის მასშტაბით ორი წლის მანძილზე ზედიზედ საწარმოს მეიარაღეებს რაციონალიზატორული წინადადების ეფექტიანობისათვის თასი ხვდათ წილად.

— არასოდეს არ დამავიწყდება, რა თავგამოდებით დაიცვა ჩემი რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ახალი ბურ-



იზოლდა ლამბაშიძე

---

## სიტყვას ვაძლევთ სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებს—

**სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები გარდაქმნის, დაჩქარების მარჯვენაფლანგელთა რიგებს ამშვენებენ, პირადი მაგალითით შრომით კოლექტივებს აღაფრთოვანებენ.**

**„საქართველოს ქალის" კორესპონდენტის დ. ქათამაძის შეკითხვაზე — როგორი იყო თქვენი ყრილობისშემდგომი ერთი წელი და რა შრომითს საჩუქრებს უმზადებთ დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს, — უპასუხებენ საბჭოთა საქართველოდან წარგზავნილი დელეგატები.**

### სოფიკო მამაცაშვილი,

**ზნაურის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის უგანრიგო ბრიგადის ხელმძღვანელი:**

ყოველ მეცხოველეს გეგმის შესრულებისათვის ეძლევა წარმოებული პროდუქციის 20 პროცენტი, ხოლო გადაჭარბების შემთხვევაში ზეგეგმითი რძის 50 პროცენტი ნატურით. შარშან ათ ტონამდე რძეა გაცემული.

იჯარულმა შრომამ გვასწავლა მომჭირნეობა, ყაირათიანობა, გაზარდა პირადი პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა. ბრიგადის წევრები ახლა ორჯერ მეტ ხელფასს იღებენ.

ერთსულოვნად დავუჭირეთ მხარი წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეცხოველეთა პატრიოტულ თაოსნობას და ჩვენც გადავწყვიტეთ 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ რძის წარმოების ხუთწლედის ორი წლის დავალება, გეგმის გადამეტებით მივიღოთ ათ ტონაზე მეტი რძე. პირველი კვარტალის შედეგები მოწმობს, რომ სიტყვას ამჯერადაც საქმით დავამშვენებთ.

### მანია მანანიანი,

**ახალქალაქის რაიონის ალასტანის საბჭოთა მეურნეობის მუშა, რაიონული საბჭოს დეპუტატი:**

— თვრამეტ ფურს ვუვლი, ამდენივე ხბო გამოვუზარდე ფერმას და თითოეულ ფურზე ნაცვლად 2.000 კილოგრამისა 2.300 კილოგრამი რძე მივიღე.

საიუბილეო წელს ფურზე საშუალოდ 2.500 კილოგრამი რძის მისაღებად ვიბრძვი. ხუთწლედის ბოლოს ამ მაჩვენებელს 3.000 კილოგრამამდე გავზრდი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კონსტრუქციის მთლიანად შეცვლას ითვალისწინებდა. თუ ნახაზით შექმნილი ბურღით მხოლოდ 5-6 ცალი გვერდულას დამუშავება შეიძლებოდა, ჩემი კონსტრუქციის ბურღით 60-ზე მეტი გვერდულა დავამუშავეთ, დროც მოვიგეთ, ხარისხიც ავამაღლეთ. ქალბატონმა იზოლდამ ამ საქმეში დიდი თავდადება გამოიჩინა, ყველა დაარწმუნა ჩემი წინადადების ეფექტიანობაში, საერთოდ ყველას, ვისაც კი რაიმე რაციონალიზატორული წინადადება დაგვებადება, ვიცით, რომ ქალბატონ იზოლდას მხარდაჭერით მას საქმედ ვაქცევთ. — ამბობს გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მუშა-რაციონალიზატორი ჯუმბერ პაპაშვილი.

აწუხებს ი. ღამბაშიძეს, რომ რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს ის ხელშეწყობა არა აქვს, როგორის ღირსნიც არიან. მათ მეტი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა სჭირდებათ.

— ჩვენი საწარმო ელმავლებს ამზადებს, რომლებსაც ტვირთი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გადააქვს, ამიტომ ელმავლებზე დანერგილი სიახლეები ათასობით კილომეტრით შორს ქმნის კოლოსალურ ეფექტს. სახელდობრ, საჭირო აღარ არის ხშირი რემონტი, იზრდება ელმავლის გამძლეობა, ის ეკონომიკური ეფექტი, რომელიც ელდეპოებში იქმნება, ჩვენთვის ძნელად დასაფიქსირებელია, ამიტომ ვერ ვახერხებთ ეკონომიკური ეფექტიანობის დაზუსტებას კავშირის მასშტაბით, ამას ბიუროკრატიზმის ბარიერიც ელობება. ბუნებრივია, ამის გამო ფერხდება რაციონალიზატორულ წინადადებებზე სათანადო გასამრჯელოს გაცემაც, არადა, მათ მწვანე შუქი უნდა ჰქონდეთ — აი რა აწუხებს იზოლდა ღამბაშიძეს. იგი ყოველნაირად ილვწის ამ შემაფერხებელი მიზეზების აღმოფხვრისათვის. საწარმოს რაციონალიზატორები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მხარდამჭერი, თანამოაზრე იზოლდა ღამბაშიძე არ დაუკარგავს ახლის წვდომის სულისკვეთებას, პირიქით, უფრო გაუღვივებს.

იზოლდა ღამბაშიძეს სამუშაო დღე განსაზღვრული არა აქვს. როცა რომელიმე რაციონალიზატორი თავის წინადადებას ამუშავებს, გვერდით უდგას, მასთან ერთად ხშირად აზუსტებს და ხვეწს ამ სიახლეს. რომელ საამქროში არ ნახავთ მას, თითქოს გუმანით გრძნობს შემოქმედ კაცს და არც არასოდეს ტყუვდება. საქმის, პროფესიის სიყვარული შვილებსაც შთააგონა, ელმავალმშენებელთა დიდ კოლექტივში საქმიანობა დაიწყეს მისმა ვაჟებმა — გიორგიმ და კონსტანტინემ.

უნდა შეიყვარო საქმე შენი და იგი გაგიიოლებს სირთულესაც, სიმძიმესაც, სიყვარულის ძალა დაგაუფლებს პროფესიის ყველა საიდუმლოებას...

უყვარს და უერთგულებს თავის საქმეს იზოლდა ღამბაშიძე. მან თანამდგომთა, თანამოაზრეთა ფართო წრე შემოიკრიბა...

ამიტომაც უნდა წარმოვაჩინოთ ასეთები და გზა დავულოცოთ კეთილ, საზოგადოებრიობისათვის სასარგებლო საქმეთა საკეთებლად.

**რუსუდან გრიგოლია**



გამომგონებლისა და რაციონალიზაციის განყოფილების უფროსი იზოლდა ღამბაშიძე და ინჟინერი ლ. ჯოიევა

# დაჩქარების, გარდაქმნის მარჯვენაფლანგელებს

**ნემიზიდა ყარაგიოზოვა,**

**წალკის რაიონის ბაშკოვის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი:**

— დაჩქარების სტრატეგიის ხორცშესხმა თითოეული ჩვენთაგანის, საბჭოთა ადამიანების მაღალნაყოფიერ შრომაზეა დამოკიდებული.

შარშან ფურზე საშუალოდ გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამის ნაცვლად 2.235 კილოგრამი რძე მივიღე, მთლიანად კი — 402 ცენტნერი, ნაცვლად 324 ცენტნერისა.

წლეულს ფურის საშუალო წველადობას 2.500 კილოგრამამდე გავზრდი და საიუბილეოდ გეგმის გადამეტებით 30 ცენტნერ რძეს შევმატებ ხუთწლედის ზეგეგმითი პროდუქციის ეგრეთწოდებულ ოქროს ყულაბას.

**ქსენია ქევანიშვილი,**

**ხობის რაიონის საჯიჯაოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი:**

წინა ხუთწლედში, ნაცვლად 52 ტონისა, 81 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფე, ამ ხუთწლედის სასტარტო წელს კი 12 ტონა, ნაცვლად 8 ტონისა. დავიანგარიშეთ და მთლიანად ჩემმა მარჯვენამ 500 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მისცა ქვეყანას.

1987 წელი საიუბილეოა. დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავისათვის 0,5 ჰექტარ ფართობზე 12 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს მოვკრეფ. ჩემს სალამოზე რაიონის ყველა მეჩაიე გამოვიწვიე შეჯიბრებაში და რარიგ მიხარია! ყველამ, — ვეტერანმაც და ახალგაზრდამაც, — ერთსულოვნად დამიჭირეს მხარი. რაიონში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წელს ჩაის რეკორდული მოსავლისათვის.

**ნაირა სარიშვილი,**

**ლანჩხუთის რაიონის გულიანის კოლმეურნეობის წევრი, ლენინის ორი, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი:**

— მალე ორმოცი წელი შესრულდება, რაც ჩაის პლანტაციებში ვშრომობ. პატიოსანმა შრომამ, არტელის წინსვლისათვის თავდადებულმა საქმიანობამ დიდი პატივი მარგუნა, ოჯახშიც შეძლებულად ვცხოვრობთ.

შარშან 21,8 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფე, რესპუბლიკამ საიუბილეო წელს 125 ათას ტონამდე მზა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის გამოშვება უნდა უზრუნველყოს. 22 ტონა ხარისხოვანი ნედლეული ჩემი პირადი გეგმა იქნება ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში.

როგორც ყოველთვის, წლეულსაც საკარმიდამო მეურნეობიდანაც შევიტან წვლილს ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისური ტრიკოტაჟის ხვალინდელი დღე

## როგორ გვესახება გარდაქმნა



მკერავი დინარა რევაზიშვილი

დრო დაუკარგავთ, მასალა დაუხარჯავთ, ენერგია ჩაულევიათ და ხარისხიანად მაინც გამოუშვათ საქონელი ამ დალოცვილებსო, — ხშირად გვსმენია უკმაყოფილო მყიდველების ჩივილი თბილისური წარმოების ტრიკოტაჟზე მაღაზიებსა თუ გამოფენა-ბაზრობებზე. ფაქტია: წლები გადის და სასურველი ხარისხის მაინც არ არის ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი. საიდან უნდა დავიწყოთ მიზეზის ძებნა? რა თქმა უნდა, უპირველესად ნედლეულიდან. მართლაც და, რა მზა პროდუქციის ხარისხზეა ლაპარაკი, როცა შარშან, მხოლოდ ერთ, თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ანუ გაერთიანება „ბახტრიონში" თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკის (ეს უკანასკნელი ამ ფაბრიკისათვის ნედლეულის ძირითადი მიმწოდებელია) მიზეზით 55 ტონა ნახევრადშალის ძაფი გადაიხარჯა. ტრიკოტაჟის ფაბრიკამ 595 ათასი მანეთის პროდუქცია ვერ მიაწოდა საბითუმო ფასების მოხმარების ობიექტებს. რატომ? იმიტომ რომ კამვოლური დართვის ფაბრიკიდან ვერ მიიღეს ნახევრადშალი და რაც მიიღეს ის ძაფიც სანახევროდ უხარისხო იყო. ამის გამო პირველივე ჩაცმის ან გარეცხვის შემდეგ ხშირად, „ბახტრიონის" მარკის ტანსაცმელი თუ თეთრეული ფორმას, ფერს და ლაზათს კარგავს, თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს და, არც ისეა საქმე, მხოლოდ ძაფის უხარისხობას მივაწეროთ ყველა ნაკლი. ვნახოთ როგორ არის შეკერილი კაბა, ბლუზონი, სვიტერი, სპორტული კოსტიუმი, როგორ არის ფერები შეხამებული, ზომებში ხომ არ არის სხვაობა, როგორ ქაღალდშია შეფუთული და რანაირად არის დამაგრებული ნაწარმზე ეტიკეტი. ეს ყველაფერი თვით ფაბრიკის კოლექტივს უნდა მოვკითხოთ.

ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონს" რამდენიმე თვეა ახალი გენერალური დირექტორი გენო ზაკალაშვილი ჩაუდგა სათავეში. და აი, პირველივე შეხვედრის შემდეგ, პირველივე ფიქრთა ურთიერთგაზიარებისას გაჩნდა ტკივილიანი კითხვა — ნუთუ ახალი ხელმძღვანელი სჭირდება სულ უბრალო საქმეს, თუნდაც შრომის დისციპლინის ამაღლებას, პასუხისმგებლობისა და



ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს

მუშური სინდისის აღზრდას ყოველ სამუშაო უბანსა და რგოლში, თითოეულ მშრომელში? რატომ მივეჩვიეთ იმას, რომ, როცა გულიან საქმეს უნდა შევეჭიდოთ, ახალი კაცის გამოჩენას ველით?! ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, თუ რად გაუჩნდა ამდენი საფიქრალ-საკეთებელი ახალ დირექტორს, რატომ მოუზღვავდა პრობლემები? აქამდეც ხომ ფაქტი იყო სამღებრო-საგამომყვანო საამქროს თითქმის შემაშფოთებელი მდგომარეობა: შეუფერებელი შენობა, ძირისძირობამდე გამოსაცვლელი ტექნიკური აღჭურვილობა, რთული შრომის პირობები. ასევე, საქსოვ საამქროში მორალურად და ფიზიკურად მოძველებული 16 მანქანა, საგამომჭრელო საამქროში ხელით შრომის 60-65 პროცენტი, სამკერვალო საამქროში გამოსაცვლელი და გადასახალისებელი საკერავი მანქანები, ძირეულად გარდასაქმნელი მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები, ეზოს უქონლობის გამო შენობის ძირითადი კორპუსის რეკონსტრუქციის აუცილებლობა და ბევრ სირთულესთან დაკავშირებული, ტერიტორიულად ძალზე მოშორებული ფილიალების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ გაერთიანებას სამი ფილიალი ბოგდანოვკის რაიონში აქვს. იქ იგზავნება სხვადასხვა ზომის გამოჭრილი ნახევარფაბრიკატი. იკერება, იქვე იფუთება და შემდეგ მზა ნაწარმის სახით უკან უბრუნდება სათაო ფაბრიკას, რომელიც უკვე თვითონ ახდენს პროდუქციის ადგილებზე დაგზავნას. ასე დაწვრილებით რატომ ვყვებით ფილიალების მუშაობის ამბავს? იმიტომ, რომ ჩვენმა მომხმარებელმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს „ბახტრიონის" ნაწარმის შეფასებისას იმ სამ-ოთხჯერად ტრანსპორტირებაზე, რასაც გაერთიანების პროდუქცია განიცდის, რომ აღარ გაუკვირდეს მისი საბოლოო პეწის ამბავი. მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ გაერთიანებაში ძალზე დაბალ დონეზე დგას პროდუქციის თბურ-დანამვითი (დაუთოვება) დამუშავება.

ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი" 120-150 დასახელების მოდელს და დაახლოებით 77 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებს ყოველწლიურად. გაერთიანებაში 2080 მუშა-მოსამსახურეა, სულ რაღაც 25 კვადრატული მეტრის ფართობის ეზოში კი ყოველდღიურად კონტეინერით დატვირთული 30-მდე მანქანა შედის და გამოდის. თუმცა ადგილის სივიწროვის მიუხედავად ფაბრიკის შემოგარენში მაინც მოუწყვიათ სამედიცინო პუნქტი, სასურსათო მაღაზია და ფეხსაცმელების შემკეთებელი საამქრო. გაერთიანებაში ჩამოყალიბებულია საწარმოო სწავლების საამქრო, სადაც დედაქალაქის შვიდი სკოლის უფროსკლასელები ეუფლებიან ჭრა-კერვას. სათაო ფაბრიკაში ყველაზე დიდი საამქროა სამკერვალო, სადაც 200-მდე ქალი მუშაობს (უმრავლესობა კომკავშირელები არიან).

სამკერვალო საამქროში კი არა, თითქმის მთელს გაერთიანებაში მოწინავედ ითვლება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო კონტროლის წევრის ქენია ლაზვიაშვილის ბრიგადა, რომლის წევრებიც თავიანთი საქმის ხელმარჯვე ოსტატები არიან. ისინი საწარმოში მუშაობის 10-15 წელს ითვლიან. ესენი არიან ნიურა თოდუა, ნაილი შაორშაძე, ქუჟუნა პაპუნაშვილი, ინეზა კალაძე და სხვები. მაგრამ უფროს ამხანაგებს არც ახალგაზრდები ჩამორჩებიან. 18-19 წლისა იქნებოდა ინეზა მაჩიტიძე, ლაზვიაშვილის ბრიგადაში რომ დაიწყო მუშაობა. დღეს უკვე საამქროს რჩეული კომუნისტი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მეოთხე კურსის სტუდენტია. იგი პირად გეგმებს ყოველთვიურად 130-140 პროცენტით ასრულებს. ასე რომ, საამაყო ბევრი აქვს საამქროს.

გაერთიანებაში რეგულირებს მოსახლეობის მოთხოვნილებების შემსწავლელი სამსახური. ფაბრიკის ნაწარმი ეგზავნება რესპუბლიკისა და კავშირის 120-მდე სავაჭრო ბაზას.

დიდი მუშური ტრადიციების მქონეა გაერთიანება „ბახტრიონის" საქსოვი ფაბრიკა. გაერთიანებაში თითქმის ძირითად პროფესიად მქსოველობა ითვლება, რადგან ძაფის ხარისხის შემდეგ გადამწყვეტია ქსოვილის ანუ ქსოვის ხარისხი. საქსოვი ფაბრიკა კი ამაყობს ისეთი მუშებით, როგორიც არიან პარტიის თბილისის საბურთალოს რაიკომის ბიუროს წევრი ზაირა ჟღენტი, რაისაბჭოს დეპუტატები ანტონინა მოზგოვაია და ნაისი რაზმაძე, ტატიანა სკოროდუმოვა.

საქმემ გარდაქმნაზე მოითხოვა საუბარი და ჩვენც შევეკითხეთ გენერალურ დირექტორს — როგორც ხელმძღვანელს და ახალ თავკაცს, როგორ ესახება გარდაქმნა თავის საწარმოში?

— ჩემი მიზანია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და შექმნილი პროდუქციის საზღაურის მიღება ხარისხის მაჩვენებლის გათვალისწინებით.

შეხვედრისას ისიც მოგვითხრო, რომ 1989 წლიდან დაგეგმილია გაერთიანება გადაკეთდეს საფირმო გაერთიანება „ბახტრიონად", რომელსაც ექნება თავისი მაღაზიები. გათვალისწინებულია, რომ გაერთიანების ფილიალები გადაიქცნენ დამოუკიდებელ საწარმოებად, აუცილებელია გაუმჯობესდეს ეტიკეტებისათვის განკუთვნილი ქაღალდი და იარლიყის ბეჭდვის ხარისხი, რომელიც მოხდენილად უნდა დამაგრდეს ნაწარმზე. ეს კი თავისთავად იმოქმედებს პროდუქციის იერსახესა და ესთეტიკურ მხარეზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს „ბახტრიონის" მიერ გამოშვებული მოდური, გემოვნებიანი, იაფი და მაღალხარისხოვანი ტრიკოტაჟის ნაწარმი თამამად გაუწიოს კონკურენცია საზღვარგარეთული წარმოების კაბებს, ბლუზონებს, სვიტრებს, სპორტულ კოსტიუმებს, თეთრეულს, ქუდებს და მრავალ სხვას.

მზია ჭიჭიაშვილი



# შემოქმედებითი საღამო

„...მის ლექსებში გაზაფხულის სიანკარეა, სიხარულია მეგობრობისა და სიყვარულისა, სინაზე დედობისა. სითბო სულისა!" — ამ სიტყვებით დაიწყო ეთერ სამხარაძე-ჯლამაძის შემოქმედებითი საღამო სოხუმში, აფხაზეთის შემოქმედებითი კავშირების სახლმა რომ მოაწყო. სამშობლო, ძმობა და მეგობრობა, გულითადობა და სიყვარული, აი ამაღლებული თემა ეთერ სამხარაძე-ჯლამაძის ლექსებისა. სწორედ ამ ლექსებით დაიპყრო პოეტმა ქალმა მკითხველის გული, მოხიბლა და გაიტაცა იგი, მოიპოვა პოპულარობა მკითხველთა ყველა თაობაში. საღამომ მეტად თბილად ჩაიარა. ბედნიერია ის პოეტი, რომლის ღვაწლმაც ამდენ მოყვარულსა და პატივისმცემელს მოუყარა თავი. ეთერს სიყვარულით სავსე სიტყვებით მიმართეს ქართველმა და აფხაზმა კოლეგებმა, ინტელიგენციისა და მშრომელთა წარმომადგენლებმა, მთარგმნელებმა, ახალგაზრდა და ნორჩმა მკითხველებმა. მსახიობებმა წაიკითხეს მისი ლექსები, უკრაინულ და პოლონურ ენაზე შესრულებული თარგმანები; შესრულდა სიმღერები, რომელთა ტექსტი ეთერს ეკუთვნის. ყვავილებმა დაამშვენა სცენა, გაახალისა პოეტური საღამო. ხალისიანი და გულითადი იყო სიტყვაც, რომლითაც პოეტმა ქალმა მადლობა გადაიხადა მისი შემოქმედების დაფასებისათვის, ილაპარაკა მომავლის გეგმებზე და, რა თქმა უნდა, წაიკითხა ლექსები. გულთბილმა ტაშმა დაასრულა პოეტი ქალის ეს მშვენიერი საღამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა, ოჯახი, საზოგადოება

# ერთობლივი საზრუნავი



პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის ოჯახებთან და მშობლებთან მუშაობა სამი მაგისტრალური ხაზით წარმართა:

სახელმწიფოს დახმარება ოჯახებისადმი, მშობელთა პედაგოგიზაცია და ოჯახებთან, მშობლებთან აღმზრდელობითი მუშაობა.

ოჯახებთან მუშაობა რომ კომპლექსური იყოს, პარტიის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა ოჯახური პრობლემების საკოორდინაციო ცენტრი. რაიონში სულ 212 მშობელთა პირველადი ორგანიზაციაა. თითოეულ მათგანს თავისი სამუშაო გეგმა აქვს. გეგმით გათვალისწინებულია ოჯახებისათვის ზრუნვა და მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა.

დღეისათვის რაიონში 63977 ოჯახი ცხოვრობს, რომელთაგან 129 არაკეთილსაიმედოა. ოჯახების სხვადასხვა ეროვნული შემადგენლობა, მათთვის დამახასიათებელი ოჯახური ტრადიციები და აქედან გამომდინარე სხვადასხვა პრობლემები გახდა მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საქმიანობის სამოქმედო ორიენტირი. სპეტაკი ზნეობის ოჯახების გვერდით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც თუ მცირე რაოდენობით არის ისეთებიც, რომელთაც არაკეთილსაიმედოს ვუწოდებთ. სწორედ ისინი საჭიროებენ გამოვლენას, დახმარებას და ზოგჯერ უკიდურეს ღონისძიებათა გატარებასაც. ამიტომაც მშობელთა ნებაყოფლობითი რაიონული საზოგადოების პრეზიდიუმმა უპირველეს მოვალეობად ოჯახის ფსიქოლოგიური კლიმატის შესწავლა დაისახა. კარტოთეკულ აღრიცხვაზე აიყვანა თითოეული მათგანი. მან კოორდინაცია გაუკეთა სკოლას, შინაგან საქმეთა ორგანოებს, მიკროსაბჭოებსა და საბინაო-საექსპლოატაციო უბნებს და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათავეში ჩაუდგა მოზარდთა თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის საქმეს.

მოზარდი თაობის აღზრდაში ოჯახის როლის ამაღლებას მიეძღვნა ტრადიციად ქცეული ანკეტური გამოკითხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში. როგორც მასალებმა გვიჩვენა, გამოკითხულთა 78 პროცენტი იცნობს და იწონებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — ,,ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“.

რაიონში 63 977 ოჯახიდან 16789 მშობელთა საზოგადოების წევრია, აქედან 303 ოჯახს ჰყავს ხუთი და მეტი შვილი.

ოჯახის ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას ემსახურება 27 მიკროუბანი, რომლებიც საშუალო სკოლებთან არის შექმნილი. მათში გაერთიანებულია თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ოჯახი. თითოეულ უბანს აქვს თავისი სამუშაო გეგმა და გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციებს ისმენენ პედაგოგიური სექციის სხდომაზე.

რაიონის სკოლებსა და საბაზო საწარმოებს შორის არსებობს ურთიერთინფორმირების სისტემა, დაწესებულია ,,სკოლის დღე საწარმოში“ და ,,საწარმოს დღე სკოლაში“. შემოღებულია ,,შეტყობინების ფურცლები“, რომელთა საშუალებით სკოლა მადლობას უხდის მუშას კარგი შვილის აღზრდისათვის.

სკოლისა და ოჯახის შეთანხმებით უმტკივნეულოდ წყდება მოსწავლეთა პროფესიული დაოსტატებისა და შრომითი საქმიანობის საკითხი.

ბოლო დროს რაიონში იმატა განქორწინების რიცხვმა. მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოებისა და რაიონის სასამართლოს ინიციატივით განქორწინებაზე შესული ყოველი განცხადება დიდი ტაქტით განიხილება პირველადს ორგანიზაციებში. 1985 წელს 469 განცხადება შევიდა რაიონის სასამართლოში განქორწინების თაობაზე, აქედან შენარჩუნებულია 118 ოჯახი. 1986 წელს სამი კვარტლის განმავლობაში შესული 530 განცხადებიდან შენარჩუნებულია 280 ოჯახი.

დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის ელმავალსაშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობამ ინიციატივა აიღო მომავალში მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში ქარხანამ ურიგოდ გამოუყოს თანამშრომელს ბინა. პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა მრავალშვილიან ოჯახებს უფასოდ მისცემს სასკოლო ფორმებსა და სასწავლო ნივთებს.

მშობელთა რაიონული ნებაყოფლობითი საზოგადოება, ითვალისწინებს რა მრავალშვილიანი ოჯახების მძიმე საბინაო პირობებს, აქტიურად ერევა ბინით დაკმაყოფილების საკითხში, მისი შუამდგომლობით რაისაბჭოს აღმასკომმა თერთმეტ ოჯახს გამოუყო ბინა. რიგგარეშე მიეცათ ბინა პ. სემინიხინას და პ. კურკაციშვილს, ხოლო ოთხი წლის განმავლობაში დახმარების სახით 133 ოჯახმა 24 320 მანეთი მიიღო.

მშობელთა რაიონული საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებთან მუშაობას. ამავე საზოგადოების ინიციატივით № 213 აფთიაქში უფასოდ ეძლევათ წამლები ოთხ და მეტშვილიან ოჯახებს, რომელთა ბავშვებიც არასრულწლოვანნი არიან.

მშობელთა საზოგადოების საქმიანობა თანდათან ფართოვდება. 1985-86 წლებში მან შეისწავლა რაიკომში შესული 276 განცხადება, რომელთა უმეტესობა ოჯახურ დავასა და მეზობლურ უთანხმოებას ეხებოდა.

საზოგადოების შემოსავალია მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრთა საწევრო გადასახადი (წელიწადში 1 მანეთი თითოეულ წევრზე), სულ რაიონში საზოგადოების ანგარიშზე ირიცხება 23000 მანეთი.

საზოგადოება ცდილობს ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს და პროპაგანდას გაუწევს კარგ ოჯახებს. ვნერგავთ ახალ რიტუალებს: ოჯახური დასვენების დღეებს, ოჯახურ სადილებსა და ვახშმებს, ახალდაქორწინებულთა კერის დალოცვას, ოქროს და ვერცხლის ქორწილებს. ტრადიციად იქცა ,,ღირსეული მშობლის დღის“ ჩატარება, ახალი წლის დღესასწაულის მილოცვა მრავალშვილიანი, მარტოხელა დედების, მარტოხელა პენსიონერების, პენსიონერთა სახლის პენსიონერებისა და რაიონში მცხოვრები ყველა ავადმყოფი, მუდმივმწოლიარე ბავშვისათვის. ჩატარდა დედებისა და მამების კონფერენციები.

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთიანობას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ახლა, როცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენს რესპუბლიკაში უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ახალი ამოცანები ისახება მომავალი თაობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, რომელთა გადაჭრა საბჭოთა სკოლამ და ოჯახმა ერთობლივად უნდა უზრუნველჰყონ.

მედეა დარსაძე,
თბილისის ლენინის რაიონის მშობელთა ნებაყოფლობითი რაიონული საზოგადოების მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა

მინიატურა

მე შენ შეგხვდი. შეგხვდი ქუჩაში. სრულიად მოულოდნელად. არ ვიცი, თუ შეიძლება ცხოვრობდე ერთ ქალაქში და ორმოცდახუთი წლის შემდეგ შეხვდე პირველად!

ჩვენ გაოცებით შევაჩერდით ერთმანეთს და მივხვდით, რომ ეს ჩვენ ვიყავით — მე და შენ — დათოვლილები, თვალებჩამქრალნი, სახედაღარულნი. დავიბენით ბავშვებივით, როგორც დიდი ხნის წინათ 17-18 წლისანები ვიბნეოდით ერთმანეთის წინაშე. მაშინაც ასე ვწითლდებოდით. ველარ ვიპოვნეთ სხვაობა, და მივხვდით, რომ გულის კუნჭულში იარა შემორჩენილიყო, რომ წლებს არა ჰქონია მნიშვნელობა, რომ წლები არ შლის ნამდვილ სიყვარულს.

ვერც ხელის ჩამორთმევა მოვახერხეთ, ვერც კოცნა გავბედეთ. მივჩერებოდით ერთმანეთს.

არ ვიცი, რამდენმა დრომ გაირბინა, რამდენმა წუთმა. გამვლელ-გამომვლელნი მოგვჩერებოდნენ. შენ ადრე მოხვედი გონს. ხელი მომკიდე, გზის იქით გადამიყვანე და მხოლოდ ეს სთქვი: „ჩემო პირველო და უკანასკნელო სიყვარულო".

ორივეს თვალზე ცრემლი მოგვადგა. ჩვენი წარსული ბავშვობა მომაგონდა, თუ როგორ გვიყვარდა ნამდვილი სიყვარულით ერთმანეთი, სიყვარულით, რომელიც განუმეორებელი იყო შენთვის. მომაგონდა, რა დიდი ტკივილი მოგაყენე მე, ჩემო პატიოსანო, მომაგონდა ჩვენი საერთო მეგობარი მ... და მისი ძმა, რომლებიც ჩვენთან ახლოს ცხოვრობდნენ. ძმა კახეთში წავიდა. მე მ...სთან დავრჩი. ჩვენთან ხომ ის ოჯახის წევრივით იყო. შენ მოხვედი, შევყევით საუბარს. მ...ს დაეძინა საწოლზე მიწოლილს, შენ ფრთხილად დააფარე საბანი. მე და შენ კი ტახტზე ჩამოვსხედით. მე გთხოვე, შინ წადი მეთქი. უკვე გვიან იყო, მაგრამ ვერა მთმობდი. ბევრი ვისაუბრეთ მომავალ ცხოვრებაზე. არ მახსოვს ყველაფერი დაწვრილებით. მე დავიღალე. შენ მთხოვე, წამოწექიო. და ასე... შენ იჯექი, მე კი შენს კალთაზე თავი დადებული მქონდა. ისე გათენდა, რომ ერთი კოცნაც კი ვერ გამიბედე. მხოლოდ დამჩერებოდი სახეზე. შენ ჩემს თვალებს ჩასცქეროდი, მე კი შენს მონაცრისფრო თვალებს და ვფიქრობდი, მიყვარდი თუ არა. შენ დაიღალე, მაგრამ მუხლებსაც არ ანძრევდი, რათა გამუდმებით გეცქირა ჩემთვის...

დილით მე და მ... სამუშაოზე წავედით, შენ გამომემშვიდობე და შეხვედრის დრო დავთქვით. მე კი აღარ მოვედი. ჩვენმა საერთო ამხანაგმა „ენები მომიტანა". მე დავუჯერე, დავუჯერე და ის კი აღარ ვიფიქრე, თუ რა პატიოსნად გაატარე ჩემთან ღამე. აგერიდე, მეგონა შეგიძულე. მესმოდა შენი გულისტკივილი. შემხვდა შენი და, ავად არისო, მისაყვედურა რატომ არ მოდიხარო. არ მოვუსმინე. შემდეგ საავადმყოფოში დაწოლილხარ, — ესეც მითხრეს, მერე აბასთუმანშიც გიმკურნალია. მე მაინც არ შეგიცოდე. გავხდი სხვისი ცოლი. მეგონა, მიყვარდა ჩემი მეუღლე. დროთა განმავლობაში დავრწმუნდი, რომ მხოლოდ შენ იყავი ჩემი ნამდვილი სიყვარული. გაგაწამე. გაგამწარე. შენ ცოლი შეირთე. საუკეთესო ქალი გამოდგა, მაგრამ გულიდან მაინც ვერ ამომიღე. ჩვენ ამას უფრო მეტად მივხვდით, როდესაც მოვხუცდით, როცა შევხვდით ერთმანეთს... შენ მოიგონე წარსული, მიამბე, თუ რა გადაგხდა თავს, როგორ ეწამე.



მხატვარი ცინარა ტერელაძე

შენ წრფელი გულით გიყვარდი მთელი ცხოვრების მანძილზე. მე შენ მრავალი წლის შემდეგ შეგხვდი, ჭაღარას, სახედაღარულს, ნაომარს, გმირს და მაინც სახემცინარს. ორმოცდახუთი წელი გავიდა... მე მაშინ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. ვერ გავუფრთხილდი შენს დიდ სიყვარულს, შენს ლამაზ გრძნობას. შეხვედრისას შევკრთით, ვით ბავშვობისას. შევაცქერდით ერთმანეთის დათოვლილ თმებს... და მაშინ ვიგრძენით, თუ რა დავკარგეთ...

მერი ჩივაძე
მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრიტიკული გვერდი

# სანამდე ვიყოთ ასე?!

კარგი განწყობილება ნისლივით გამეფანტა, როცა ვაკეში ძველ სტუდქალაქს მივუახლოვდი. რას ჰგავს ეს გარემო, რით ვერ ჩააბარეს ძველი თუნუქის სახურავის ნაგლეჯები, ზედ გაზონებზე რომ დაუყრიათ. ან ეს ქვა-ღორღი, ეს ნაკაფი და მინის ნამსხვრევი რა გაუხდათ? მშვენიერი მოლი გადაუთელავთ, ზედ მოკლედ მოსაჭრელი გზა-ბილიკები გაუტკეპნიათ. ვის შეჰყურებენ ხელში? ერთი-ორი შაბათობა და აქაურობა წალკოტს დაემსგავსებოდა.!

ეგრეთწოდებული წითელი ოთახი კაი მოზრდილი დარბაზია — ფერადი ტელევიზორით, გემოვნებით შეკრული ბამბუკის მაგიდებით, სტენდებით; ოღონდ ეგ არის, ამ კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული ვენური სკამები სავარძლებით რომ შეეცვალათ და ორიოდე ძირი ოთახის პალმაც დაედგათ, აქაურობას სხვა ლაზათი ექნებოდა. ჟურნალ-გაზეთებს ვათვალიერებ — თხუთმეტი ეგზემპლარი „კომსომოლსკაია პრავდა“, თხუთმეტი — „კომსომოლსკაია ჟიზნ“, თხუთმეტიც „ახალგაზრდა კომუნისტი“. ეს ერთადერთი ქართული გაზეთია, რომელსაც აქ იღებენ, საჭიროა კი უფრო მეტი იყოს.

ოთახებში შევიხედე, ბინაში თბილა, არის ცივი წყალი, ცხელი წყალი, ყოველ სართულს აქვს მოზრდილი დიდსარკმლებიანი სამზარეულო, ოღონდ ეს არის, უფარდებოა, იატაკშელახული, არც ერთი კარადა, არც ერთი თარო... მხოლოდ ოთხი ცარიელი გაზქურა წამოჭიმულა, ისიც უქვაბოდ და უჩაიდნოდ... და რაც მთავარია, უდიასახლისოდ.

— რა ხდება? ვეკითხები გოგონებს. რატომ არ იყენებთ სამზარეულოს?

— ყველაფრის გატან-გამოტანა ძნელია, უფრო მოხერხებულად ვართ, როცა ოთახში ქურაზე ვამზადებთ საჭმელს.

— მერე ეს გამოსავალია? რატომ სამზარეულოში არ ტოვებთ სანოვაგეს?

გოგონებს პასუხის რცხვენიათ. ეტყობათ ყველაფერი წესრიგში არ არის. ბევრი რამ იკარგება, ანტისანიტარია გროვდება. გარდა ამისა, ოთახებში ჩართული ელექტროქურები თავისი მოთუხთუხე ქვაბებითა და ტაფებით საშიშია. აქ ხომ ახლადფეხადგმული ბავშვები და გამოუცდელი დედები არიან! სხვათაშორის, ეს გაფრთხილება ბაგებში, მაღლივი კორპუსების მესვეურთაც ეხება, რადგან იქაც ასევე ცარიელი სამზარეულოები და ოთახში ელექტროქურები დაგვიხვდა.

მორიგე რუსუდან ცქიტიშვილი აღელვებით ერევა ჩვენს საუბარში, გვატყობინებს, რომ გარეთ არცერთი ავტომატი არ მუშაობს, შიგნით — სამი ტელეფონია და ღამით სამივე ჩაკეტილია. იქნებ რა გვიჭირს, იქნებ რა ხდება ღამით!

ახლადგახსნილი ბარი ვნახე, მშვენივრად მოუწყვიათ, მოდურ ანსამბლებსაც მოუსმენ, თუ ინებებ, რიგიანად შემწვარ კარტოფილს ან ცხელ-ცხელ სოსისს, ყავას, წვენებს და ლიმონათს მოგართმევენ, თან არც თუ ძვირად. როგორც სასადილოს გამგემ, ქალბატონმა მერი თოდრიამ მითხრა, აქ მალე საუკეთესო ხარისხის ნაყინსაც შემოიტანენ. თან წესრიგი არასოდეს ირღვევა. სიგარეტსაც არ ეწევიან. თუ ყოფილხართ ბარში და რამდენჯერ? ვეკითხები გოგონებს.

— არცერთხელ — ერთხმად მპასუხობენ.

— არც ვყოფილვართ და ალბათ ვერც ვერასოდეს წავალთ. ამის დრო და საშუალება სადა გვაქვს? პური რომ პურია, დილიდან თუ არ მოიმარაგე, საღამოსთვის მშიერი დარჩები. ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში შეიხედეთ? სულერთთავად გამოკეტილია. პროდუქტები მდარე ხარისხისაა, შესვენება სამიდან ხუთ საათამდეა, სწორედ მაშინ, როცა ლექციებიდან ვბრუნდებით და ავია თუ კარგი, რაღაც სადილი უნდა გავახერხოთ. ახლა ბავშვის პატრონს სარეცხს და დასალაგებელს რა გამოულევს, მეცადინეობაც ხომ გვინდა. როცა ბავშვი დაიძინებს, მაშინ თუ გავშლი წიგნს, ისიც დაღლილ-დაქანცული.

— თუ ვინმე ბავშვის დამტოვებელი ჩამოგვივიდა სოფლიდან, მე და ჩემი ქმარი მაშინვე თეატრში გავრბივართ. აბა ისე როგორ წავიდეთ დედაქალაქიდან, რომ წარმოდგენა არა გვქონდეს რა ხდებოდა მის კულტურულ ცხოვრებაში იმ ხუთი წლის მანძილზე, აქ რომ ვცხოვრობდით. ამას მომავალი ექიმი ნინო მიქაძე ამბობს და დასძენს:

— რა აქ სათქმელია და ხუთოსნებს ხუთოსნობის სტიპენდიას არ გვინიშნავენ—აქტივისტებიც უნდა იყოთ, მარტო კარგად სწავლა არ კმარაო. ხუთებზე რომ ვსწავლობ და თან შვილსა ვზრდი, ეს მეტი აქტივისტობაა თუ გაუთავებელ სხდომებზე ჯდომა და ოქმების წერა?

ნინო მიქაძის ამ შეკითხვას ჩვენც ვუერთდებით — პასუხი სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტზე იყოს.

ახლა კვლავ ზემოთ წამოჭრილ პრობლემას დავუბრუნდეთ. დაოჯახებული, შვილიანი სტუდენტების მუდმივ და მუდმივად გადაუჭრელ პრობლემას, რომელიც შეგვიძლია ამ სიტყვებით გამოვთქვათ — ვის დავუტოვო ბავშვი? სწორედ იმ დილემას მივადექით, რომელიც ერთნაირად აწუხებს ძველი (აივნიანი) სტუდქალაქის სტუდენტებსაც (აქამდე სწორედ ამ სტუდქალაქზე იყო საუბარი) და ახალი, მაღლივი შენობების ბინადართაც ბაგებში. ახლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პრობლემის გამო მრავალი სხდომა, კოლეგია, ლანძღვა, საყვედური, განკარგულება და ოქმი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ჯერ კი ახალი სტუდქალაქის მობინადრე დედებს მოვუსმინოთ:

მარინე ცინცაძე — მომავალი ექიმი, ორი შვილის დედა.

— ორივეს ერთად როგორ მოვუვლიდი, ბაგა ჩვენ არა გვაქვს და ბაღი. რაკი უფროსი უკვე ჭკუაში იყო ჩავარდნილი და უჩვენობას ნაღვლობდა, უმცროსი გავწირე. ძუძუც ვერ ვაწოვე. სოფელშია, დედაჩემი უვლის. სანახავად რომ ჩავდივარ, ზედ არ მიკარებს, ბებიასკენ გაიწევს ხოლმე, ისა ჰგონია დედა, დამშვიდებული კი არა, ნერვებაწეწილი და ნამტირალევი ვბრუნდები იქიდან.

ნინო ტალიკაძე — მომავალი გეოლოგი, კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, (მისი ბიჭუნაც აქვეა. ცელქობს, არ ისვენებს).

— აი, ამ ბიჭს რომ ხედავთ, უნივერსიტეტის შვილობილია. მეც არ ვიცი, ვინ აჭმევდა, ვინ ასმევდა და ვინ აძინებდა, რამდენჯერ მიძებნია დაფეთებულს უნივერსიტეტის ბაღში — არიქა, ზვიადი დავკარგე მეთქი! გავიხედავდი და ბაღის მყუდრო კუნჭულში სრულიად უცნობი სტუდენტები ათამაშებდნენ. ახლა ვითომ გვარდება რაღაც. მასალები შემოზიდეს. სასექტემბროდ შეპირებულ ბაგა-ბაღს საიანვროდ დაგვპირდნენ, იქნებ საიქითსექტემბროდ მაინც დაადგეს საშველი... როგორც იქნა, დიდი სირბილისა და ჩივილის შემდეგ დარიალის ქუჩაზე რომ ბაგა-ბაღია, იქ გამოგვიყვეს ადგილი. ახლა იქ დამყავს ბავშვი. შორს არის და ძალიან ვწვალობ.

ლილი ფხალაძე — ბაგა-ბაღი რომ აქვე გვქონდეს ორ შვილს ვიყოლიებდი, ბარემ ერთად დაიზრდებოდნენ. მანამდე კი ის ერთიც სოფელში მყავს. შორსაა ჩვენი სოფელი, ხშირად ვერ დავდივარ, ბავშვი გამუდმებით მენატრება.

ყველას ნათქვამი რომ მოვიტანოთ სიტყვა შორს წაგვივა. ახლა მკითხველს მივმართავთ. რა დავარქვათ საქსამთოქიმიის საამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კოლექტივის მიერ მშენებლობის გაჭიანურებას?

კარგით, ადრე იქნება თუ გვიან, ეს საკითხი მოგვარდება, ძველი სტუდქალაქისთვის გამარჯვების პარკთან აფართოვებენ ბაგაბაღს. ხოლო ახალი სტუდქალაქის მაცხოვრებლებს ბაგებში საკუთარი ბაგა-ბაღი ექნებათ. მთელ ამ სიკეთეს კი ძველ და ახალ სტუდქალაქში ორად-ორი ოთახის გამოყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყა და ბავშვების მომვლელი ქალის გამოძებნაც უნდა დაემატოს. კორპუსში პირველ სართულზე ორი დიდი ოთახი უკავია სრულიად უცხო უწყებას, რომელიც აქ სულ სამი თვით შემოსახლებულა და ბარე სამ წელს გაგრძელებია სტუმრობა.

ერთი შეხედვით რა უბრალო საქმეა — ორი ოთახისა და ორი აღმზრდელის გამოყოფა – და რა დიდ შვებას კი მოგვრის ახალგაზრდა დედებს — მათი სწავლის დონეც ხომ აიწევს, რაღა თქმა უნდა, კულტურულიც და ისიც სათქმელია, რომ სამკურნალოდ და თავის მისახედადაც მოიცლიან.

გულთან ახლოს უნდა მივიტანოთ სტუდქალაქელი დედების გასაჭირი, მივეხმაროთ, გავამხნევოთ, გავუადვილოთ და გავულამაზოთ ცხოვრება. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ დღევანდელი სტუდენტური ოჯახი ხვალინდელი სოფლის ინტელიგენციაა. ჩვენი ეროვნული და სოციალური ძარღვის ფეთქვაა სოფლად. მომავალი ხელმძღვანელია, ყველაფერში მაგალითისა და ტონის მიმცემი. თავ-თავის გზაზე წასულთ ჩვენი გულისხმიერების კეთილ ნაყოფს გავატანთ, თუ გულგრილობითა და უსამართლობით დაგროვილ ბოღმას, ეს დღეს ჩვენს სინდისნამუსზე ჰკიდია. გავუფრთხილდეთ მათს სტუდენტობის წლებს, რადგან ეს ის წლეძია, რომელიც „ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა, ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც ვამოვა და ძაღლ-ყურძენაცა“. — ასე უბრძანებია დიდ ილიას.

მერი პაპუნაშვილი



გიორგი გიგაური

## ნემსის წვერით

რა კარგი იყავ,
როგორ მელოდი,
ჩემს ფეხის ხმასაც სცნობდი შორიდან.
კლდიან ბილიკის გავლას მშველოდი
უკეთილესი გულის თრთოლვითა.

რა კარგი იყავ
რწმენა მაღალი
და შენს სიმაღლეს როგორ ვეტრფოდი,
და მიგვაფრენდა ჩემი სალარი —
ჩემი მერანი,
ჩემი თეთრონი.

რა კარგი იყავ,
შენ უჩემობა
გადობილებდა ცრემლის მორევთან,
მაინც რაღაცა ძალა გვშველოდა
და ერთურთს დიდხანს
არ გვაშორებდა.

რომ დავხვედროდი
მტერს და მოყვარეს
სიმკაცრითა და
სიამტკბილობით,
სიწმინდის სხივი გადმომაყარე,
კიდეც მღეროდი
კიდეც ტიროდი.
ერთად ვიგემეთ მწარეც და ტკბილიც,
იყო ნაღველი,
იყო მოლხენა,
ვერ მოერია ყინვა და თრთვილი
ჩვენი ბან-კარის ყვავილს მომღერალს.

ოჯახი ნემსის წვერით აშენე
და დაჩხვლეტილი თითის გულებით;
— ქალს მოთმინება მუდამ ამშვენებს,
მოვითმენ, თუმცა მედიდგულები! —

იტყოდი,
ცალი მუხლით აკვანთან
და ცალი მუხლით ღუმელთან იდექ,
მომავლის გზები ასე გაკვალე,
ცხოვრების ტვირთიც ასევე ზიდე.

შვილისთვის მუქი არ დაგიკლია,
რძლისთვის ღიმილი არ დაგენანა, —
გალაღებული რაშით მიჰქრიან.
ჩვენ კი შორს დავრჩით
იმ ჩვენს მერანთან...

შვილიშვილთათვის
თეთრონებს ვრახტავთ,
და აჰა, უკვე გზაც გაიწაფეს, —
მზისკენ ნახტომით დაგვტოვონ სახტად,
არ მოჰკლებოდეთ ცხენთა სისწრაფე.

ხარობ,
პატარებს უშენებ ხვალეს,
ხარ მოდარაჯე მათი ესისა,
მათ მოლოდინში ამოდის მთვარე
და ველარა სცნობ ჩემი ფეხის ხმას.

მე ახლა თითქმის ვახსოვარ არვის,.
ვტორტმანობ, როგორც დაჭრილი ჯიქი...
შენ პატარებზე გეჭიროს თვალი,
ჩემი ამბავი ჯანდაბას იქით.

შაქრო სამადაშვილი

## ალბათ

ფიფქები მაინც ცვიოდეს,
რა ხორხოშელად თოვს!
ეჰ, გული არა მტკიოდეს
მივაკითხავდი შოვს.
არ მოდის, შური იძია!
ალბათ უსმინა ქორს,
ო, არა, არ შემიძლია
კვლავ მისგან ვიყო შორს.
როდემდე უნდა ციოდეს,
მომაბეზრებლად თოვს.
ეჰ, გული არა მტკიოდეს
რა დავლაშქრავდი შოვს!

## მუზა

თუკი ღვთიური დამეხშო სხივი,
თუ ვერ მოვაქცევ სტრიქონში ტკივილს,
თუ უთქმელობა ნელნელა დამშლის
თუ სამუდამოდ გამიწყრა მუზა —
სიცოცხლისა და ცხოვრების ზღვაში
ჩემო სიცოცხლევ, დაუშვი ლუზა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალმოხდილი

# კეთილ საქმეთა მსახური



ქსენია იოსელიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი და დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ნახევარი საუკუნე ამშვენებდა ქართველ პედაგოგთა რიგებს, თავდაუზოგავად ემსახურებოდა სახალხო განათლების დიდ და საპატიო საქმეს. იგი ჯერ ხარაგოულში იყო მასწავლებლად, შემდეგ — ხაშურის რკინიგზის სკოლაში. აქვე ჩაება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში: გამოდიოდა კრებებზე, თანამშრომლობდა გაზეთ „ბრძოლაში“, წერდა კრიტიკულ წერილებს „ოქსანას“ ფსევდონიმით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ფართო ასპარეზი მისცა ქსენია იოსელიანის ნიჭსა და უნარს. იგი სათავეში ჩაუდგა ბორჯომის საბავშვო სახლს, აქვე გადაწყვიტა დიდი ხნის ოცნებისათვის შეესხა ფრთები. ჯერ კიდევ მოსწავლე, დაინტერესებული იყო საქართველოს მთიანეთით, დიდ აგიტაციას ეწეოდა მთიელთა საბავშვო სახლის გახსნისათვის. სახალხო განათლების კომისარიატის დავალებით, ქსენია იოსელიანის ხელმძღვანელობით, 1924 წელს მოეწყო პირველი ლაშქრობა სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, ქისტეთში, მთიულეთში. ლაშქრობაში მონაწილეობდნენ რუსუდან ნიკოლაძე, ნიკო მაკალათია და სხვები. მათ შეარჩიეს ორასი ბავშვი და ამავე წელს თბილისში გახსნეს მთიელთა საბავშვო სახლი, რომლის დირექტორადაც ქსენია იოსელიანი დაინიშნა. (მაგრამ ეს არ იყო უპატრონო ბავშვთა სახლი, ეს იყო ინტერნატი, ზაფხულს ბავშვები მშობლებთან ატარებდნენ). მან მოიწვია საუკეთესო აღმზრდელები, განათლებული პედაგოგები, მზარეულები და დამლაგებლებიც ისეთები შეარჩია, რომელთაგან მხოლოდ სიკეთეს, ზრდილობას და კარგ ზნე-ჩვეულებებს შეითვისებდნენ ბავშვები.

შვიდი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ სახლს ქალბატონი ქსენია.

— შვიდი წლის განმავლობაში ერთი ღამეც კი არ მახსოვს, რომ მშვიდად მძინებოდეს. სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მიმეცა ბავშვებისათვის ისეთი საფუძვლიანი სწავლა-განათლება, რომ თავიანთ მშობლიურ მხარეში დაბრუნებულებს, კულტურა და განათლება შეეტანათ, — იგონებდა იგი.

ამაოდ არ დამშვრალა ამ კეთილშობილი ქალის შრომა. მთიელთა საბავშვო სახლში აღზრდილი ყმაწვილები დღემდე ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას და კულტურას, (ამ სახლში იზრდებოდა ცნობილი პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური).

1930 წელს მთიელთა საბავშვო სახლი შეუერთდა კოჯრის საბავშვო სახლს, ქსენია იოსელიანი კი დაინიშნა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ბიბლიოთეკის გამგედ. აი, რას წერს ამის შესახებ თავად ქალბატონი ქსენია: — მახსოვს მოვიდა ჩემთან კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორი და მითხრა, ინსტიტუტს სჭირდება ბიბლიოთეკა, ჩაუდექით ამ საქმეს სათავეში, ეგებ რაღაც გამოგივიდესო. იმ გიჟმაჟი საბავშვო სახლის შემდეგ ჩემი მისვლა ორას წიგნთან ძალიან ძნელი იყო. ვერ წარმომედგინა როგორ ვუხელმძღვანელებდი ამ საქმეს. ცოტა ხანი ასეთ ყოყმანში გავატარე. შემდეგ მოვიწვიე საბჭო, რომელსაც დაესწრნენ განათლების მუშაკნი. იმათაც მთხოვეს ამ შესანიშნავ საქმეს ჩავდგომოდი სათავეში და... დროთა განმავლობაში შეიკრიბა ის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელიც ამჟამად თავმოყრილია ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. დავიწყე მუშაობა და თანდათან ვგრძნობდი ეს მკვდარი საქმე როგორ ცოცხლდებოდა და ძლიერდებოდა.

ახალი მოღვაწეობის არე გადაიშალა მის თვალწინ. დაიწყო წიგნად ფონდზე ფიქრი. სწორედ ამ პერიოდში მას შეხვდა პროფესორი გიორგი თავზიშვილი, რომელმაც უთხრა: გორში საოსტატო სემინარიის ბიბლიოთეკის აუარებელი წიგნია უპატრონოდ მიტოვებული და ჩამოიტანეო.

მერე სად წავიღო ეს წიგნები? ბიბლიოთეკას არც საწყობი აქვს მისთვის და არც ბინაო, — უთქვამს ქალბატონ ქსენიას.

შენ ჩამოიტანე და ეს წიგნები თვითონ იპოვნის გზასო.

„სამი კვირის განმავლობაში ვათრევდი ამ წიგნებს, მუშებიც ვერ ვიშოვნე“ — იგონებდა ქ. იოსელიანი, — ძნელი იყო მუშაობა, მაგრამ ბიბლიოთეკას გამოუჩნდნენ წიგნის მოტრფიალე პატრიოტები: მ. ზანდუკელი, გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, გ. კიკნაძე, პლ. კვირკველია, გ. გიორგაძე და... თანდათანობით დაიწყო წიგნების ფონდის ზრდა.

ი. გოგებაშვილის დაბადების მეასე წლისთავზე ბიბლიოთეკას მისი სახელი მიენიჭა. ამ დღიდან ბიბლიოთეკა სწრაფად იწყებს აღორძინებას. მანამდე იგი „ჩასიძებულ მდგომარეობაში“ იყო, — წერს იოსელიანი.

გაიგეს რა დამსახურებულმა პედაგოგებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, რომ ბიბლიოთეკა ი. გოგებაშვილის სახელობისა გახდა, დაიწყეს საკუთარი წიგნადი ფონდის გადმოცემა. წიგნები ღარსად ეტეოდა. მილიონზე მეტი გახდა მათი რაოდენობა და დაიწყო განუწყვეტელი დავა ბინის გაფართოებაზე. დიდი ბრძოლის შემდეგ ქსენია იოსელიანმა ხელთ იგდო და საგულდაგულოდ შეაკეთა სარდაფები. ახლა ჩახვალთ თუ არა ამ სარდაფებში, რომლებიც წიგნსაცავად არის გამოყენებული, წიგნის სიუხვე და უჩვეულო წესრიგი გულს გაგიხარებთ.

ხშირად ჩადიოდა ხოლმე წიგნსაცავში ქალბატონი ქსენია და როგორც კი შენიშნავდა უწესრიგობას და მტვერს, — წიგნები ვეღარ სუნთქავენო, იტყოდა, თან ყოველ წიგნს ხელით ეხებოდა, ეფერებოდა. იგი თანამშრომლებთან ერთად ატარებდა სანიტარულ დღეებს, წელიწადში ორჯერ კი „მხიარულ შაბათობებს“ აწყობდა.

ერთხელ, როცა ვიღაცამ ჰკითხა: — ბიუჯეტში თუ გიზით წიგნების დასუფთავებისათვის თანხაო, ქ-ნმა ქსენიამ გულიანად გაიცინა და სწრაფად მიუგო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტში რა მოგახსენოთ, მაგრამ გულში კი მიზისო.

იუმორით უხვად დაჯილდოვებულს, კვიმატი, მოსწრებული სიტყვა-პასუხი ემარჯვებოდა და სულ სიცილ-კისკისში ატარებდა „მხიარულ შაბათობებს".

წიგნის ასეთ მოყვარულს შინ თაროზე ათიოდე წიგნი თუ ექნებოდა. ერთხელ ჰკითხეს, საკუთარი ბიბლიოთეკა რატომ არა გაქვსო. მან ღიმილით მიუგო: — არავითარი საკუთარი ბიბლიოთეკა, ამისათვის რომ მეზრუნა, ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკას ბევრი რამ დააკლდებოდაო.

წიგნი მკითხველისათვის მკვდარია, თუ მასთან მისვლის გზები გაკაფული არ არის. დიდ წიგნად ფონდს, რომელიც ბიბლიოთეკაში იყო, ესაჭიროებოდა დამუშავება. ამ საქმესაც ჩვეული ენერგიით მოჰკიდა ხელი ქსენია იოსელიანმა. ბიბლიოთეკაში ყველა წიგნი დამუშავებულია და ყოველთვის შეიძლება მათი გამოყენება. შეიქმნა ბიბლიოგრაფიული კატალოგები, გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „ქართული საანბანო წიგნის" ბიბლიოგრაფია. ქ-ნ ქსენიას ჯადოსნური ძაფები ჰქონდა გაბმული მკითხველებთან. ორმოცი წლის განმავლობაში ალბათ არ მომზადებულა არცერთი დისერტაცია, გამოკვლევა, მონოგრაფია (პედაგოგიკის დარგში), რომლის შექმნაში ავტორისათვის დახმარება არ აღმოეჩინოთ ქსენია იოსელიანს და მის თანამშრომლებს. პროფესორი შალვა ნუცუბიძე წერდა: „მე მთელი ოჯახით ამ ბიბლიოთეკაში გადმოვსახლდი. სიმპათია, სითბო, რომელსაც მე ყოველთვის ვგრძნობ ამ ბიბლიოთეკის მუშაკებისგან, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ღრმავდება და მკვიდრდებაო.

ქსენია იოსელიანი ბიბლიოთეკის ფონდიდან რაიონების ბიბლიოთეკებსაც დიდ დახმარებას უწევდა. საქართველოში არ არის რაიონი, რომ მისი მადლიანი ხელი არ გასწვდენოდეს. ზოგჯერ იყო შემთხვევა, რომ წიგნებს უკან არ აბრუნებდნენ. არა უშავს რაო, — ამბობდა, — ოღონდ იკითხონ, გამოიყენონ და კიდევ გავუგზავნიო. ასევე ხშირად გზავნიდა წიგნებს საინგილოში. განსაკუთრებით დიდი სიყვარულით და მოკრძალებით ემსახურებოდა გამოჩენილ მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს. მახსოვს, ერთხელ საკმაოდ დიდი სიით შემოვიდა ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში: ეს სია პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ გადმომცა, ხვალ ყველა წიგნი უნდა ვიშოვოთ და დავახვედროთო.

— თუ ჩვენთან არ არის? — იკითხა რომელიღაცამ.

არ არის არ გამაგონოთ! თუ ჩვენთან არ არის, სადმე ხომ იქნება, უნდა ვუშოვოთო. ასე ზრუნავდა ქსენია იოსელიანი თავისი ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის.

დედის კვალს გაჰყვა ქალბატონი ქსენიას ქალიშვილი ნუნუ იოსელიანი. ათი წელია იგი იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორია.

მარგო თომაძე

# ქალზე ნათქვამი...

ქვეყანაზე რა მოგწონსო და, — მრავალშვილიანი დედა და მტევნებდახუნძლული ვენახიო.

ქალის სილამაზე თვალს ასიამოვნებს, სიკეთე გულსაო.

ქალი შვილებზე კარგ სამკაულს ვერ იშოვისო.

პატიოსანი ქალი ქვეყნის ბრილიანტის თვალიაო.

ქალმა თქვა, იმდენ ხანს ვიცოცხლო, სანამ ჩემს სიტყვას ოჯახში ფასი ექნებაო.

ქალზე იტყვიან, ბედი აქვსო; ბედის საიდუმლოება ყველა ქალის ხელშიაო.

მრავალშვილიანი ქალი სამშობლოს თაიგულიაო.

დედას მხოლოდ სიკეთე უნდა ესტუმროსო.

ველ-მინდორს ყვავილი ჰქარგავს, ოჯახს — კარგი დიასახლისიო.

ქალმა თქვა: მანამ მომკალი, სანამ სულს იარა გაუჩნდებაო.

ქალს შვილის სახით უზენაესი ბედნიერება უჭირავსო.

შვილი ქალისთვის სამოთხის ნაყოფიაო.

დედამიწა და ქალი სიცოცხლის საწყისიაო.

ჭერნათელი ოჯახი უქალოდ ვერ გაბრწყინდებაო.

ნამგალი სათიბში გალობს, ქალი — კარგ ოჯახშიო.

დიაცი თავის დაჭერით ფასდებაო.

ყვავილმა ბრძანა: მე სიტურფით ვამკობ ქვეყანას, ქალი — შვილებითაო.

ქალისთვის ოჯახზე უფრო კარგი ნავსადგური ჯერ არავის მოუგონიაო.

კარგი ქალის ხელში საქმე არც გროვდება, არც ილევაო.

თეთრად გათენებული ღამის ფასი მხოლოდ დედამ იცისო.

ოჯახი ქალის სიყვარულით არის შეკრულიო.

მშრომელი ქალის თითები სანთლად ითენებაო.

კარგი ქალი ოჯახში გულმართალი ხარივით გასწევსო.

აკვანმა ინატრა: იმ ქალის ხელში მომახვედრა, რომელიც არცერთ წელს არ დამასვენებსო.

ქალისთვის უკვდავების მიმნიჭებელი მისივე ოჯახიაო.

ძვირფასია ქალი, რომელიც ოჯახის წინაშე პირნათელია.

ქალზე დიდი ბუნებისა რა არის, — არც ადვილად გაგიწყრება და არც ადვილად შეგირიგდებაო.

ნანი ბერიაშვილი-სამყურაშვილი,
სახალხო მთქმელი, სოფელ საბუის მეურნეობის მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუფრას კაცი უნდა ამშვენებდეს

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმეა, განსაკუთრებით ახლა, როცა ძალაშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის დადგენილება — „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ", — ეს კონკრეტული და ყოვლისმომცველი დოკუმენტი. ეს პრობლემა აწუხებდა ყველა თაობას და ყველა ეპოქას. ეს მარტო მე-20 საუკუნის საზრუნავი როდია. სპარსული კლასიკური მწერლობის ძეგლი „ყაბუს ნამე" გვაფრთხილებდა: „სუფრიდან ისე წამოდექი, რომ ორი თასი ღვინის შესმა კიდევ შეგეძლოს. ერიდე თრობის თასს და სიმაძღრის ლუკმას. სიმთვრალისა და სიმაძღრის მიზეზი მთელი სასმელ-საჭმელი კი არ არის, არამედ ბოლო თასი და ბოლო ლუკმაა. ამიტომ ერთი ლუკმით ნაკლები შეჭამე და ერთი თასით ნაკლები დალიე... მთვრალი ადამიანი გიჟივითაა, ნასვამი კი ავადმყოფივით. ასეთმა რამემ როგორ უნდა მოგხიბლოს?"

რსფსრ დამსახურებული ექიმი ს. აირაპეტოვი თავის შრომაში „ჯანმრთელობა, ემოციები, სილამაზე" მიგვანიშნებს ადამიანის სამ მტერზე: თამბაქოზე, ლოთობასა და სტრესულ მდგომარეობაზე.

ბევრი იწერება ალკოჰოლის მავნეობაზე. იწერება ძალიან კარგად და გასაგებად. წერენ ექიმები, მეცნიერები, სპეციალისტები. ჩვენ სხვა მიზეზმა გვიკარნახა კალმის ხელთ აღება. ამ ათიოდე წლის წინათ „ლიტერატურნაია გაზეტამ" დასტამბა საინტერესო მასალა: „კარნავალის შვილები". ამ სტატიის მადლი და მარილი ის იყო, რომ დიდ დროსა და ენერგიას ვახმართ ანტიალკოჰოლურ პროპაგანდას და განზე გვრჩება ისეთი საკითხები, როგორიცაა „როდის დავლიოთ?" და „რამდენი დავლიოთ?" სმის კულტურაზე მოგახსენებთ. ბოროტება ღვინოსა და არაყში როდია. ბოროტება სპირტიანი სასმელების ხმარების დაბალ კულტურაშია. ბულგარელმა ექიმმა გ. ეფრემოვმა თავის გამოკვლევაში გვიჩვენა, რომ 23 ქრონიკულ ალკოჰოლიკს ეყოლა 15 მკვდარი და 8 მახინჯი შვილი! ფრანგმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მკვდრადშობილთა მაქსიმუმი ჩასახული იყო „კარნავალების" და „მაჭრობის" დღესასწაულის დღეებში. აქედან მოდის ავადსახსენებელი ტერმინი — „კარნავალის შვილები". ახლა ძველ ამბებს გადავხედოთ. მითოლოგიის თანახმად ვულკანი კოჭლი დაიბადა, რადგან მამამისი იუპიტერი, იმ დროს... მთვრალი იყო; ძველ სპარტაში ლიკურგმა გამოსცა კანონი, რომელიც ახლადდაქორწინებულთ უკრძალავდა ქორწინების დღეს ღვინის დალევას. (წყალი უნდა ესვათ); ძველი რომაელები ამბობდნენ: „ლოთები ლოთებს შობენ". რომში საერთოდ აკრძალული იყო სმა 30 წლის ასაკამდე. პლატონი მოითხოვდა გამოცემულიყო კანონი, რომელიც კატეგორიულად აკრძალავდა სმას 18 წლამდე. კართაგენში მოქმედებდა კანონი, რომელიც კრძალავდა სმას ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულების დღეებში.

დღესაც, საქართველოში დიდ სირცხვილად ითვლება თუ ნეფე-დედოფალი საქორწინო სუფრასთან ღვინოს დალევს... ცხადია, მათ არავინ უთვალთვალებს, მაგრამ ეს ტრადიციაა და ტრადიცია სისხლშია გამჯდარი. ტრადიციების შექმნას და ჩამოყალიბებას დიდი დრო უნდა... დრო კი არ ითმენს! მაშ „როდის დავლიოთ?" და „რამდენი დავლიოთ?" ერთი საქმეა შეტევა, ხოლო მეორე — აღზრდა, სწავლება, პროპაგანდა. მკითხველი დამეთანხმება, რომ წიგნები და თუნდაც პოპულარული ბროშურები, სადაც ამ საკითხებზეა ლაპარაკი, ძალზე ცოტაა. 1965 წელს ითარგმნა ავტორთა კრებული „ყოფაქცევის ესთეტიკა", ცნობილია „ზრდილობიანი ადამიანის მანერები" — მშვენიერი წიგნი ცოლ-ქმრულ ურთიერთობათა შესახებ, „საბჭოური ცხოვრების წესი და ახალი ადამიანის ფორმირება" და სხვა. ვინც ეძებს, იპოვნის კიდეც. სიკეთეს რა დალევს ქვეყანაზე, მაგრამ ძალზე ცოტაა მსგავსი წიგნები და ბროშურები ქართულ ენაზე. ვინ და ვინ, თუ არა ვაზის ქვეყნის შვილმა იცის ყველაზე შესანიშნავად სუფრის წესი, ღვინის სიკეთეცა და მისი ვერაგობაც.

რა დაშავდება, რომ ყოველ მმაჩის ბიუროში იყოს ექიმის საშტატო ერთეული, რომელსაც დაიკავებდა გამოცდილი ფსიქოთერაპევტი. რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლება ამ ადამიანს! წარმოიდგინეთ მისი ტაქტიანი და დელიკატური საუბარი ახლადშეუღლებულ წყვილთან... შტატს თავი დავანებოთ. ეს დროც მოვა. მანამდე კი ენთუზიასტებმა ვიტვირთოთ ეს საქმე მონაცვლეობით. განა ჩვენს რესპუბლიკაში სანთლით საძებარია ასეთი ადამიანები? ვინ, რომელი გაექცევა ერის სამსახურს?! მეორე საკითხია ჩვენს სკოლებში სავალდებულო წესით ტარდებოდეს საუბრები უფროსკლასელებთან... დაე, იცოდეს მოზარდმა თაობამ, რა მოაქვს ალკოჰოლს. აქაც გამოგვიჩნდებიან ენთუზიასტები, თუნდაც საზოგადოებრივ საწყისებზე. ვიდრე ეს სავალდებულო წესი დაკანონდებოდეს, ვინ გვიშლის მოზარდ თაობას ესაუბრონ ექიმები, ფსიქოლოგები, ცხოვრებაგამოვლილი ხალხი? ეს ჩვენი ორიგინალური აზრი არ არის და იქნებ ჩვენი რესპუბლიკიდან დაგვეწყო მისი განხორციელება?

სუფრის კულტურა და მისი წესი. თავი და თავი ალბათ ეს არის. ჩვენს სუფრას კი, სამწუხაროდ, გამოუმუშავდა რაღაც სტანდარტული რეცეპტი... აუცილებელია: ხიზილალა (შავი, მარცვლოვანი და წითელი), ჩაქაფული, სუკი, სათალი( უამისოდ დაგიწუნებენ სუფრას!) თითო კაცზე 4-5 ბოთლი ღვინო და აუცილებლად არაყი და კონიაკი. სუფრიდან კაცი თუ ბარბაცით არ წავიდა (ან არ გაიტანეს), ის რა სუფრაა? ეს არის ტრადიცია, ეს არის კულტურა?

მახსენდება: მე და ჯემალ ინჯია სტუმრად ვეწვიეთ მორის ფოცხიშვილს. შეუძლოდ იყო. მაინც წამოდგა და პატარა ტაბლა გაგვიშალა. ერთი ბოთლი ღვინო, გარგარი... სულ ეს იყო. კაცი უნდა ამშვენებდეს სუფრას!

და ვიდრე დავამთავრებდეთ, კიდევ ერთი. მე-19 საუკუნეში ლოთი ქალი იშვიათი მოვლენა იყო. ახლა? მაპატიონ მშვენიერი სქესის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა, მაგრამ რატომ უნდა ეჯიბრებოდეს ქალი კაცს საძრახის საქმეში?

რჩევები და რეკომენდაციები ყოველთვის როდი გვაძლევს სასურველ შედეგს. საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა, საჭიროა დასკვნების გაკეთება. ზოგიერთ ქვეყანაში ქრონიკულ ალკოჰოლიკებს კასტრაცია უყვეს. ესეც ცოტაა. ასეთ ადამიანებს საერთოდ უნდა აეკრძალოთ ცოლის შერთვა! ლოთი არც შინვარგა და არც — გარეთ, მითუმეტეს — სამსახურში. კანონი მაშინ არის ქმედითი და სიცოცხლისუნარიანი, როცა ის იწერება ყველასათვის! მაშასადამე, ამ კანონის გამტარებელი უნდა იყოს ყველა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მუშა და ინტელიგენტი, ან ვის ძალუძს კანონის ხელყოფა?

ბეგლარ ნოზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



18474

# მოზარდი და თამბაქო

დადგენილია, რომ ორგანიზმზე უარყოფითად და, ზოგჯერ, დამღუპველადაც კი მოქმედებს თამბაქო.

თამბაქოს მწეველები ფილტვის კიბოს გარდა ხშირად ავადდებიან ცხვირ-ხახის, საყლაპავის და შარდის ბუშტის კიბოთი. მათ კუჭის წყლული 10-ჯერ, სტენოკარდია 13-ჯერ და გულის ინფარქტი 12-ჯერ უფრო, ხშირად ემართებათ, ვიდრე არამწეველებს. არაიშვიათად, კიდურების არტერიების ანთება-შევიწროების (ენდარტერიტის) შედეგად თამბაქოს მწეველებს უვითარდებათ ქსოვილების სიკვდილი — (განგრენა), რის გამოც აუცილებელი ხდება კიდურის მოკვეთა. თამბაქოს წევა უარყოფითად მოქმედებს ფსიქონერვულ სფეროზე, შინაგანი სეკრეციის სისტემაზე და გრძნობის ყველა ორგანოზე. დადგენილია, რომ თამბაქოს წევისაგან ყოველწლიურად იღუპება ერთი მილიონი ადამიანი.

განსაკუთრებული ავთვისებიანობით გამოირჩევა ნიკოტინის გავლენა ბავშვებზე. თუთუნის მწეველ ბავშვებს (მოზარდებს) უზიანდებათ ნერვული სისტემა და აღენიშნებათ როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური შეფერხება; უსუსტდებათ მეხსიერება, უძნელდებათ მასალის ათვისება, უქვეითდებათ ლოგიკური მსჯელობის უნარი.

საგანგებო შესწავლის შედეგად ორ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შორის აკადემიურად ჩამორჩენილთა და უდისციპლინოთა უმრავლესობა იმ კლასებში აღმოჩნდა, სადაც მოზარდების უფრო მეტი რაოდენობა ეწევა თამბაქოს. მწეველი მოზარდები ხშირად ავლენენ ნერვულ აღგზნებადობას, გამღიზიანებლობას, — აგრესიულ რეაქციებს. მათ არც გულსისხლძარღვთა სისტემა აქვთ ჯანმრთელი, ადვილადაც ავადდებიან და ყოველ დაავადებას მძიმედ იტანენ. თითქმის ასეთივე ნიშნებით გამოირჩევიან ის მოზარდები, რომლებიც, მართალია, თვითონ არ ეწევიან, მაგრამ მუდმივად იმყოფებიან მწეველი უფროსების გარემოში.

ნიკოტინი ერთნაირად მავნეა როგორც ვაჟის, ისე გოგონას (ქალიშვილის) ორგანიზმისათვის. გოგონა, რომელიც 14-15 წლისა იწყებს თამბაქოს წევას, სრულიად ახალგაზრდა კარგავს ადამიანისათვის ყველაზე ძვირფას საუნჯეს — ჯანმრთელობას. ზოგიერთებს რატომღაც „კარგ ტონად“ მიაჩნიათ თამბაქოს წევა და... აბოლებენ ზოგნი — აშკარად, ზოგნი — ფარულად.

ყველა სხვა გართულებას რომ თავი დავანებოთ, თამბაქოს წევა გოგონებს უკარგავს კდემამოსილებას, უუხეშებს სახის ნაკვთებს, უცვლის სახის ფერს, უზიანებს კბილებს და პირის ღრუს; უბოხებს ხმას და მთლიანად ვულგარულს ხდის მათ გარეგნობას.

პირში სიგარეტგაჩრილი ქალიშვილი არასოდეს ყოფილა თაყვანსაცემი და არც ახლა ჰგვრის ვინმეს ესთეტიკურ სიამოვნებას.

თამბაქოს მწეველი ახალგაზრდა დედები სუსტ და ხშირად ავადმყოფურ ბავშვებს ბადებენ. ყოველი ასი ახალშობილიდან, რომელთა დედები დღეში ეწეოდნენ 5-სიგარეტზე მეტს. 4-ბავშვი იღუპება დაბადებიდან 5 დღის განმავლობაში (თითქმის ასეთივე საშიშროება ემუქრებათ იმ ახალშობილებს, რომელთა მამებიც ბევრს ეწევიან). ცოცხლად დარჩენილი ახალშობილები კი შემდეგაც იწამლებიან დედის რძით და ადვილად ავადდებიან სხვადასხვა ავადმყოფობით, რადგანაც ორგანიზმის დაცვითი ძალები დაზიანებული აქვთ ნიკოტინის გავლენით.

ვინაიდან, ბავშვები თუთუნის წევას უმეტესად სკოლაში ან სკოლის მიმდებარე ქუჩებში ეჩვევიან, უფრო ხშირად ე. წ. ძნელად აღსაზრდელ თანატოლების ან ზოგიერთი უფროსკლასელის გავლენით, თამბაქოს წევის პროფილაქტიკაში დიდი როლი ენიჭება პედაგოგიურ კოლექტივს, სკოლის სამედიცინო პერსონალს და მშობელთა კომიტეტს.

თუთუნის წევას ბავშვები ხშირად იწყებენ მძიმე ოჯახური სიტუაციის (ინტენსიური ოჯახური კონფლიქტების), არასრული ოჯახის და უმეთვალყურეობის პირობებში. აღნიშნული გარემოებები ხელს უწყობს ბავშვის პიროვნების პათოლოგიურ (ანომალიურ) ჩამოყალიბებას, ქცევის მოშლას, არასწორ მორალურ-ეთიკურ ფორმირებას. ასეთ ვითარებაში ზოგიერთი ბავშვი (მოზარდი) მშობლების მიმართ ხშირად ავლენს პროტესტის და ოპოზიციის რეაქციას, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებად ითვლება თამბაქოს დემონსტრაციული წევა. ბავშვების თამბაქოსადმი ლტოლვაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მწეველ მშობელთა უარყოფითი მაგალითი.

როგორც სამედიცინო და სოციალური დაკვირვებები გვიჩვენებს, ხშირ შემთხვევაში თამბაქოს წევა ნარკოტიკულ საშუალებათა შეჩვევის პირველი ეტაპია. ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამწყებ მომხმარებლებს სიცოცხლისათვის საშიში გართულება ხშირად უვითარდებათ 2-3 მოწეული ნარკოტიკული სიგარეტის (ანაშა, პლანი) შედეგად. აღწერილია მოზარდის უეცარი სიკვდილის შემთხვევები, 1-2 ასეთი სიგარეტის მიღებით.

კარგი იქნება ყველა მოზარდს და მოზრდილს ახსოვდეს აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის გაფრთხილება, რომ **თამბაქოს წევიდან დიდ ბოროტებამდე — ნარკომანიამდე სულ რაღაც ერთი ნაბიჯიღა რჩება.**


**მირიან მესტიაშვილი,**
პროფესორი, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა მთავარი ფსიქიატრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.




საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



11 - 12 აპრილი ხსოვნის დღეა

# „სნეულთ მლხენელი"

როცა სიტყვა ექიმზე, მკურნალზე ჩამოვარდება, მისი ძველქართული შესატყვისი გამახსენდება ხოლმე: — სნეულთ მლხენელი...

რაოდენი რწმენა უნდა ჰქონოდა ხალხს იმ ადამიანისადმი, ვინც მკურნალის მისია ითავა, რომ ასეთი მეტაფორით შეემკო იგი.

...მართლაცდა, რამხელა შვებაა სატკივრის მორჩენა, ავადმყოფის გამომრთელება! საამისოდ მხოლოდ ცოდნა როდი კმარა: მკურნალს ალღო, თანდაყოლილი ნიჭი და უნარი უნდა ჰქონდეს, ხელოვანივით მუდამ შთაგონებული უნდა იყოს, რომ ავადმყოფობის მიზეზი ამოიცნოს და სნეულს შვება მოჰგვაროს.

...შთაგონების ეს ნაპერწკალი შეამჩნია თავის სტუდენტში ცნობილმა ქართველმა ნევროპათოლოგმა პეტრე სარაჯიშვილმა, ამიტომაც შესთავაზა ნუნუ ტუსკიას თბილისში დარჩენა და მის კათედრაზე თანამშრომლობა. ცხადია, საამისოდ ქალიშვილს ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაც დასჭირდებოდა და თუმცა, სწავლა მისი სტიქია იყო, უარი უთხრა უსაყვარლეს აღმზრდელს.

რა მოხდა, რატომ უარყო ნუნუ ტუსკიამ ესოდენ საპატიო წინადადება? განა დედაქალაქში და ისიც ამ ინსტიტუტში დარჩენა, საითაც ოცნებამ გაუკვლია გზა, იოლი დასათმობი იყო?

... მაგრამ მშობლიური ჭიათურა უხმობდა. იქ ელოდა მამა-პაპური ფუძე. ცნობილი პედაგოგის მარგარიტა ვაშაძისა და ეკონომისტ ანტონ ტუსკიას ოჯახი სამაგალითო იყო ზემო იმერეთში.

ნუნუ თავს მოვალედ თვლიდა მხარში ამოდგომოდა ჯანგატეხილ დედას და ამავე დროს თავისი ცოდნა მოეხმარებინა იმათთვის, ვის შორისაც გაიზარდა. თანაც სამამულო ომის მძიმე წლები იყო და ახლა უფრო ჭირდებოდა ხალხს მისი თანადგომა.

ჭიათურის საავადმყოფოში, სადაც დაიწყო მოღვაწეობა ნუნუ ტუსკიამ, სწორედ ნევროპათოლოგი აკლდათ. თავიდანვე სანიმუშოდააწყო ახალგაზრდა ექიმმა თავისი საქმიანობა და ნდობაც მალე მოიპოვა. უფროსებიც კი დაეთათბირებოდნენ ხოლმე და ყურად იღებდნენ მის მოსაზრებას ამა თუ იმ ავადმყოფობის შესახებ — ერთხელ ცხოვრებაგამოვლილი ქალივით იყო, მისი სიტყვა ყოველთვის მართლდებოდა.

ერთხელ კიდევ სცადა ნუნუ ტუსკიას გადაბირება პეტრე სარაჯიშვილმა, მაგრამ ამაოდ — ახალგაზრდა ექიმს უკვე ისე შეეყვარებოდა თავისი კოლექტივი, რომ მასთან განშორება ვეღარ წარმოედგინა.

...გავიდა რამდენიმე წელი და ავადმყოფობამ დააშორიშორა ისინი. თუმცა ეს განშორებაც პირობითი იყო, ნუნუ ავადმყოფობის გამო, მართალია, საკუთარი სახლის ტყვეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ცოცხალი ურთიერთობა მასთან არც საავადმყოფოს მედპერსონალს გაუწყვეტია და არც მოსახლეობას. ყველამ იცოდა ნუნუ ტუსკიას სახლის კარი, ყველამ იცოდა მისი ტელეფონი და ისინიც და მისი ერთგული მეუღლე, ექიმი სოსო კიკნაძე ღმობიერად ხვდებოდნენ საკუთარი სნეულებითა თუ თავისიანების სატკივრით შეწუხებულ ადამიანებს. და ეს ყოველთვის უანგაროდ ხდებოდა!

...იმედიანი და ტკბილი სიტყვა წამალიაო, იტყვიან ხოლმე. და თუ კეთილ სიტყვას კვალიფიციური რჩევა-დარიგება და რაც მთავარია, ზუსტი დიაგნოზი მოსდევს, ავადმყოფობაც უმეტეს შემთხვევაში უკან იხევს. ამით გაითქვა სახელი ნუნუ ტუსკიამ — უტყუარი იყო მისი დიაგნოზი, უებარი იყო მისი სიტყვა.

...თავის თავსაც თითონ მკურნალობდა... მთელი 25 წელიწადი ებრძოდა იგი ავადმყოფობას და მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, არასოდეს უკან არ გაუბრუნებია მისი რჩევის იმედით მისული სნეული. დიდი სულიერი სიმტკიცე ჭირდებოდა საკუთარი ტკივილის ჩაყუჩებას და სხვისი სატკივრის ამოცნობას... კაცმა რომ თქვას, ალბათ ესეც ეხმარებოდა ნუნუ ტუსკიას გადაელახა მაღალი წნევისა თუ სიცხის ზღვარი, მწვავე ტკივილების განცდა, რადგან სხვათა სატკივარიც საკუთარ ტკივილად მიაჩნდა.

ავადმყოფობამ თავისი გაიტანა... თუ აქამდე თრგუნავდა მას ნუნუ, თანდათან სარეცელზე მიაჯაჭვა. მორიდებულმა ჭიათურლებმა უკლეს მასთან სიარულს, მაგრამ სამაგიეროდ გახშირდა ტელეფონის ზარი — ბევრს ჭირდებოდა მისი გულისხმიერება, კონსულტაცია, მისი გამოცდილება და ნუნუსაც ერთხელ არ დაუკვნესია... პირიქით. ერთხელ, მწვავე ტკივილების შემდეგ რომ ძლივს ჩასძინებია, სწორედ მაშინ მისულა შეწუხებული დედა-შვილი... ის იყო უარით უნდა გაესტუმრებინათ ისინი, რომ ნუნუს ჩაესმა დედის სასოწარკვეთილი ხმა და მოისურვა ავადმყოფი ბავშვის ნახვა...

...რაც მაგას ლოცვა-კურთხევა ჰქონდა, ავადმყოფობას როგორ უნდა გაეტანჯაო, — ამბობენ სინანულით ჭიათურლები, დედასავით დაიტირეს საყვარელი ადამიანი, ყველას ჭირისუფლად რომ მიაჩნდა თავი.

ნუნუ ექიმის ქებას ვისგან არ გაიგონებდით. ბევრი მადლიერი პაციენტის ბარათი დაგროვდა მის ოჯახში სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ.

1986 წლის გვიანი შემოდგომა იყო... ფოთლებივით აკლდებოდა დღეები ნუნუ ტუსკიას... იმ მძიმე დღეებშიც იგი წამალზე მეტად პოეზიას ეტანებოდა, რადგან ხანგრძლივი ავადმყოფობის მანძილზე მისთვის წიგნი ქცეულიყო უახლოეს მეგობრად.

...და როცა ნუნუ ტუსკიას ცხოვრების წიგნი დაიხურა, მადლიერმა ხალხმა სამადლობელი წერილებით მოისურვა მისი გაგრძელება...

ერთ-ერთ გულითად ბარათს მისი ყოფილი ავადმყოფები ნიკოლოზ ბუხნიკაშვილი და დავით ჩიხელიძე აწერენ ხელს. ეს ამბავი უფრო იმიტომაც გავიხსენე, რომ მათი წრფელი ფიქრით მას მთელი ჭიათურა მოაწერდა ხელს!

ეს მცირე მოსაგონარიც ამ რწმენით დაიწერა...

ნანა ღვინეფაძე



ნინო და ექვთიმე თაყაიშვილების
ნათელ ხსოვნას

# მოგივალს ნინო!

დიდუბის ცაზე
ამობრწყინდით ახალ მნათობად,
შემოგაგებათ დღეს სამშობლომ
გლოვის ზარები...
ლევილის მიწას
დააჩნდება ნაიარევად
ამიერიდან თქვენი წმინდა
ნასამარევი!
მოდგნენ ქართველნი
მოკრძალებით და მდუმარებით,
რომ ჩაგატანონ სამარეში
თითო კურცხალი,
დღეს ყველა ერთად
მოგეახლათ, მიმადლებულო,
სულმნათ ექვთიმეს
რაც დააკლდა ჭირისუფალი!
გვახსენებს რანი ვიყავით და
რა გზით ვიაროთ
განძი თქვენს მიერ დაცული და
ნასათუთარი,
ეჩურჩულება ერის სინდისს
ილიას ლანდი: —
„მოგივალს ნინო,
განძთა შორის მთლად საკუთარი!
აურაცხელი ოქრო-ვერცხლის
დარაჯს და პატრონს,
სიცოცხლის სახსრად
თხაი გყავდა შენ მარჩენალი...
სწორედ ამიტომ,
გიხაროდენ ერის სინდისო, —
მთლად საქართველო
არის შენი ჭირისუფალი!..."
დღეს ქართლის მიწა
გულში იკრავს ასულს ღირსეულს,
გარდასულ დღეებს
ახდენილი ნატვრა ანათებს,
მთაწმინდის მთვარე
გადმოაყრის ქარვისფერ სხივებს
მარადიული სიყვარულის წმინდა სავანეს.

ამირან კალაძე
22 თებერვალი, 1987 წელი.

მისი ბიოგრაფია არც ვრცელია, არც მრავალფეროვანი. დაამთავრა მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. მუშაობდა ს. ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში მხატვარ-გამფორმებლად. სიცოცხლისა და შემოქმედების წყურვილით სავსე, მაგრამ მძიმედ დაავადებული გარდაიცვალა 19 წლისა და დაგვიტოვა ლირიკული ლექსების ერთი რვეული და 50-მდე ნახატი.



## ჩემი ბავშვობის ჟუჟუნა წვიმა

ჩემს ბავშვობაში ქარი რომ ჰქროდა,
ახლაც ის ქარი დაჭირითობს და ერეკება ღრუბლებს.
ჩემს ბავშვობაში ეზოს რომ გვიდა,
ახლაც იგივე მეეზოვე, ცოცხით ხელში დაუვლის
ქუჩებს.

ჩემს ბავშვობაში ჟუჟუნა წვიმა,
ახლაც ისევე, როგორც მაშინ ასველებს ქუჩებს.
ჩემს ბავშვობაში ფეხშიშველი
ისე დავრბოდი წვიმაში, როგორც უკვე
ველარასოდეს ველარ ვირბენ, რადგან ახლა
სულ სხვა ბავშვია, რომ ახტება წყლით სავსე გუბეს.

ნაილი სოსანაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მომსახურების კულტურა**

# „ვარაზი“ გვთავაზობს

თვრამეტი წელია, რაც თბილისში. ვარაზისხევის უბანში, ჩაის სახლის ახლოს „თბილკონდიტერის“ საჩვენებელმა სახლმა „ვარაზმა“ დაიდო ბინა. ჩაის სახლი საგანგებოდ იმიტომ ვახსენეთ, რომ ქართული ჩაის მოყვარულნი აქვე, მაღაზია „ვარაზიდან“ მიღებული საკონდიტრო ნაწარმით მიირთმევენ სურნელოვან სასმელს. აი, რატომ გაიხსნა ჩაის სახლთან მაღაზია. „ვარაზის“ გამართული მუშაობა მომწოდებელი ორგანიზაციების დიდ პასუხისმგებლობასა და ოპერატიულობაზეა დამოკიდებული, აქვე უნდა დავძინოთ. რომ ძნელია დღევანდელი მომთხოვნი მომხმარებლის პრეტენზიის ისე გათვალისწინება, რომ ყველა კმაყოფილი გყავდეს. უპრიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მაღაზიაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მომხმარებელი მადლიერი დარჩეს. სახლის დირექტორი ნანა ხოშტარია და გამოცდილი ტექნოლოგ-კონტროლიორი ლიანა შალამბერიძე, რომელიც დღიდან დაარსებისა ამ საჩვენებელ სახლში მუშაობს და ადამიანების არაერთი მადლობა დაიმსახურა. უშურველი ღიმილით და გულისხმიერებით ხვდებიან სავაჭროდ შემოსულთ. შემთხვევითი არ იყო, როცა ნანამ და ლიანამ ასორტიმენტის ლაბორატორიასთან ერთად მომხმარებელთა გამოკითხვა მოაწყეს (სამი ათასი კაცის მონაწილეობით); კითხვაზე, თუ რა მოსწონთ და რას ისურვებენ, უმრავლესობამ მათი მუშაობა მოიწონა და გასათვალისწინებელი შენიშვნებიც გამოითქვა.

ნანა ხოშტარიას აქ მოსვლამდე საკმაოდ საინტერესო გზა გაუვლია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ჯერ რძის ქარხანაში, შემდეგ კი პურკომბინატში უმუშავია ტექნოლოგად და ავტორიტეტი მოუპოვებია. „ვარაზში“ მოსულმა მალე აუღო საქმეს ალღო და თავიც გამოიჩინა. მეათე წელია ასე შეწყობილად შრომობს ერთსულოვან ოცკაციან კოლექტივთან ერთად.

როცა სიტყვა ოჯახზე ჩამოვუგდეთ, სახე გაუნათდა, დედური ბედნიერებით გაუცისკროვნდა ლამაზი თვალები ოთხი შვილისა და ორი შვილიშვილის ახალგაზრდა ბებიას.



ნანა ხოშტარია (მარჯვნივ) და ლიანა შალამბერიძე



დ. იაკობაშვილის ფოტოები

ოჯახში უყვართ მუსიკა, ხელოვნება, პოეზია, პატივს სცემენ შრომას. ბიჭები ტექნიკურ დარგებს ეუფლებიან, სხვადასხვა სპეციალობები აირჩიეს გოგონებმა. ერთი სიტყვით, ბედნიერი ოჯახი აქვთ ნანა ხოშტარიას და რიჩარდ ბაკლიშვილს.

თავისი მშვენიერი, კულტურული ოჯახი ეამაყება ლიანასაც. მათთვის, დედობაზე არანაკლები ჯილდოა ის უამრავი მადლობის ბარათი, ორი მოზრდილი საქაღალდე რომ ვერ იტევს.

„ვარაზის“ მუშაობა განსაკუთრებით მას შემდეგ წარმოჩინდა, რაც თბილპურის მე-4 საცხობს სათავეში ლიანა ქველიძე ჩაუდგა. ეს ის ლიანაა. რომელმაც რამდენჯერმე დაიცვა საქართველოს სპორტული ღირსება კალათბურთში. კარგი ხელმძღვანელის ხელი დაეტყო მიმზიდველად გაფორმებულ ტორტებს: „ზღაპარს“, „დილას“, „ვარაზს“, „სიურ-

პრიზს“, „მოკას“, ზოგჯერ საგანგებოდ რომ დაეძებენ მომხმარებლები. შარშან მაღაზიამ საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმით გათვალისწინებული 64,4 ტონის ნაცვლად 72,8 ტონა პროდუქცია გაიყიდა, აქედან ერთი ტონის ნაცვლად თერთმეტი ტონა მარტო ფქვილოვანი ნაწარმი იყო. ამ მაჩვენებლისათვის მაღაზია სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს, ხოლო პრემიად მინიჭებული 350 მანეთი კოლექტივმა მე-700 ანგარიშზე გადარიცხა.

ბევრი მომხმარებელი მოითხოვს ვაფლიან შოკოლადს. მის შესაძენად „ვარაზში“ ქალაქის შორეული უბნებიდანაც კი მოდიან, მაგრამ რას იზამ, ცოდვა გამხელილი სჯობს... ხშირად დანანებით ისტუმრებენ უარით, რადგან მომწოდებელი ორგანიზაციები პროდუქციის ნაკლებობის გამო სრულად ვერ უზრუნველყოფენ მაღაზიის ყველა მოთხოვნას. მაღაზიაში გახსნის დღიდან არსებობს შეკვეთის მაგიდა — საგანგებო ჟურნალში ორი დღით ადრე აფორმებენ შეკვეთებს. საკონდიტრო საწარმო „მზიური“ დროულად და შეუფერხებლად ამარაგებს მათ. კარგი იქნება, თუ მომავალში გაითვალისწინებენ მომხმარებლის სურვილებს და კარამელები — კოწახური, ხილფაფა, პიტნა, ლიმონი, საფრენი, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა, ლამაზად გაფორმებულ კოლოფებში ჩაიწყობა და საკმაო რაოდენობით გაიგზავნება. ხომ იტყვიან, თვალი ჭამს და თვალი სვამსო.

ყველა სიახლე, რაც თბილკონდიტერ „მზიურში“ უნდა დაინერგოს, „ვარაზის“ სადეგუსტაციო და სადემონსტრაციო დარბაზებში ჭაშნიკდება და შემდეგ ვიტრინებში გამოიფინება. ასე გებულობს წინასწარ მომხმარებელი, თუ რა სიურპრიზი მზადდება მისთვის.

...განუწყვეტლივ გაისმის ტელეფონის ზარი. რეკავენ შრომისა და ომის ვეტერანები, პენსიონერები, საწოლს მიჯაჭვულებიც, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან გულისხმიერი ადამიანები: დირექტორი ნანა ხოშტარია, ტექნოლოგი ლიანა შალამბერიძე, დირექტორის მოადგილე სოსო ბაბუნაშვილი, ბუღალტერი-ეკონომისტი ალისა ქვრივიშვილი და ექვსი კვალიფიციური გამყიდველი. ისინი დღენიადაგ ზრუნავენ მომხმარებლის კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის, მაღაზიაში სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნისათვის.

**ნანული გუკია**

*მსოფლიო მერიდიანებზე*



# ბენაზირ ბხუტო

პაკისტანის სახალხო პარტიის ახლანდელი ლიდერის ბენაზირ ბხუტოს სახელი ამ ნახევარი წლის მანძილზე მუდმივად დამკვიდრდა გაზეთების ფურცლებზე. ეს ულამაზესი ქალი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფიგურა გახდა ზიია-ულ-ხაკის მმართველი რეჟიმის მიმართ ოპოზიციურ მოძრაობაში.

ბხუტო დაიბადა 1954 წელს პაკისტანის სახალხო პარტიის თავმჯდომარისა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ზულფიკარ ალი ბხუტოს ოჯახში.

ბენაზირ ბხუტო სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სასწავლებლებში: რედკლიფსის კოლეჯში, ჰარვარდსა და ოქსფორდში, სადაც შეისწავლა პოლიტიკა, ფილოსოფია და ეკონომიკა. სტუდენტობის წლებში ბხუტო ბევრჯერ მონაწილეობდა საპროტესტო დემონსტრაციებში ამერიკის შეერთებული შტატების „ვიეტნამური ავანტიურის“ წინააღმდეგ.

ბენაზირ ბხუტო პაკისტანში 1977 წელს დაბრუნდა, სწორედ იმ წელს როცა გენერალ ზიია-ულ-ხაკის მიერ მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად პრემიერ-მინისტრი ზულფიკარ ალი ბხუტო გადააყენეს თავისი პოსტიდან. ორი წლის შემდეგ ის სიკვდილით დასაჯეს. ამ დროიდან მოყოლებული ყოფილი პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი იწყებს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას, აწყობს საპროტესტო დემონსტრაციებს ზიია-ულ-ხაკის რეჟიმის წინააღმდეგ, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს.

1984 წელს ბენაზირ ბხუტო იძულებული გახდა ლონდონში გადასულიყო. 1986 წლის აპრილში, როცა მის ქვეყანაში სამხედრო წესები გაუქმდა, სამშობლოში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ბენაზირ ბხუტო ოპოზიციის პოპულარული მოღვაწე გახდა. მას ხშირად აკინოს ადარებენ.

ბენაზირმა ჯერ კიდევ ლონდონში გაითვალისწინა, ხელისუფლების სათავეში ჩადგომისას როგორ განსაზღვრავდა თავისი პარტიის მოღვაწეობის პროგრამას: ეკონომიკის მსხვილი დარგების ნაციონალიზაცია, მიწის რეფორმა, წყლის გადასახადის გაუქმება, მუშების მინიმალური ხელფასით უზრუნველყოფა.

„მე ვიკავებ პოზიციას ცენტრიდან მარცხნივ, მე სოციალისტი და დემოკრატი ვარ, მაგრამ მარქსისტი არა“. — განაცხადა ბენაზირ ბხუტომ ერთ-ერთ ინტერვიუში.

ამჟამად მმართველი რეჟიმისადმი პაკისტანის ოპოზიციის ძირითადი მოთხოვნაა პარლამენტის არჩევნების უმალ ჩატარება. მის დაპირებას ზიია-ულ-ხაკი 1990 წელზე ადრე არ იძლევა. ოპოზიციური პარტიის ბლოკმა — დემოკრატიის აღსადგენად სწორედ ამ მოთხოვნით მოაწყო მასობრივი დემონსტრაციები მთელ ქვეყანაში 1986 წლის 14 აგვისტოს, რასაც ხელისუფლებამ რეპრესიებით უპასუხა. ოპოზიციის ათას ლიდერზე მეტი დააპატიმრეს, მათ რიცხვში ბენაზირ ბხუტოც. 26 დღე გაატარა პაკისტანის სახალხო პარტიის ლიდერმა ციხეში, ქალაქ კარაჩის მახლობლად. ოპოზიციის ზემოქმედებით ხელისუფლება იძულებული გახდა 8 სექტემბერს ის გაეთავისუფლებინათ. ბენაზირ ბხუტოს საპატიმროდან გამოსვლას პაკისტანის სახალხო პარტიის ასობით მომხრე მიესალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“...

რედაქციაში ყოველდღიურად მოდის სხვადასხვა შინაარსის ბარათები. გვწერენ ქალები თავიანთ სატკივარზე. გვიზიარებენ სიხარულს, გვანდობენ საიდუმლოს, გვთხოვენ რჩევა-დარიგებას.

მათ შორის...

ისე არაფერი ანადგურებს ქალს, როგორც იჭვი, ღალატი. თუ ერთხელ მაინც ირწმუნა ქალმა, რომ საყვარელმა მეუღლემ სხვაში გაცვალა ან თუ ქალს იჭვის ჭია ჩაუჯდა სულში, მერე ძნელია მისი გადაჯერება. დაეჭვებული ქალი კი, მუდამ დაძაბული, ნერვიულია, ხშირი უსიამოვნების გამო ცოლ-ქმარს შორის. ოჯახში ბზარი ჩნდება. მერე ბზარი ნაპრალად იქცევა და ინგრევა კერა. ყველაზე მეტად დანგრეულ ოჯახში ბავშვები იჩაგრებიან. მამის ოჯახიდან წასვლა ბავშვებისათვის დიდი სულიერი ტრავმაა. ისინი შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, რცხვენიათ. ამიტომ ბავშვები უხეშები და მიუკარებლები ხდებიან. განსაკუთრებით, ვაჟები ვერ ეგუებიან მამის დაკარგვას და გზას აცდენილნი სისხლის სამართლის დანაშაულსაც კი სჩადიან.

მაგონდება, ერთხელ რედაქციაში თმაჭაღარა, საკმაოდ ლამაზი ქალი მოვიდა, ღვარად ჩამოდიოდა ცრემლი. როცა ტირილით გული იჯერა და სული მოითქვა, გვიამბო: მე და ჩემს მეუღლეს ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გვიყვარდა ერთმანეთი და დავქორწინდით, მაშინ პატარა ოთახში ვცხოვრობდით, ერთი რკინის საწოლი, ერთი მაგიდა და ორი სკამი იყო ჩვენი „სიმდიდრე“, ჩვენზე ბედნიერი ქვეყნად არვინ იყო. ერთად დავამთავრეთ უმაღლესი სასწავლებელი. ორივემ დავიწყეთ მუშაობა. მერე ქალ-ვაჟი გაგვიჩნდა. ჩემს მეუღლეს სამსახურში რომ ხელი არ შეშლოდა, მთელი ოჯახის საქმე მე ვიკისრე, მეუღლეს ხელფასი მოჰქონდა მხოლოდ. სანიმუშოდ ვზრდიდი შვილებს. ბავშვებს ძალზე უყვარდათ მამა. შვილები წამოიჩიტნენ, რა თქმა უნდა, ბინის ფართი არ გვეყო: წლების მანძილზე ნაკოწიწები ფულით ამხანაგობაში შევედით და ოთხოთახიანი ბინა ავიშენეთ. კიდეც მოვაწყვეთ. ამასობაში ქალიშვილმა უმაღლესი დაამთავრა და გათხოვდა. ვაჟი წარჩინებული სტუდენტი იყო. მე ისე ვიყავი ოჯახის საქმეში ჩაფლული, ვერც კი შევნიშნე, როდის გამემიჯნა მეუღლე, წეღან ვთქვი, შვილებს ძალზე უყვარდათ მამა მეთქი, ვიდრე მამა შინ არ მოვიდოდა, შუაღამემდე არ დაიძინებდნენ, განსაკუთრებით ბიჭი ელოდა ხოლმე მას და აი, სწორედ მან შენიშნა, რომ მამამ გული აიყარა ჩვენზე. მეც გამოვფხიზლდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ჩემს მეუღლეს ჩემზე ახალგაზრდა ქალი შეჰყვარებოდა. თავი ვერ შევიკავე, ვერ ავიტანე ოჯახის ღალატი, ჯერ ქმრის სამსახურში ავტეხე განგაში, იქ რომ არაფერი გამომივიდა, მერე ისე დავიმცირე თავი, იმ ქალთან მივედი და ვთხოვე, ნუ დამინგრევ ოჯახს, ნუ გამიუბედურებ შვილებს-მეთქი. მან აინუნშიაც არ ჩააგდო ჩემი თხოვნა და უკმეხად მიპასუხა: კარგახანია შენს მეუღლეს მე ვუყვარვარ და რა თქმა უნდა, ის ჩემი იქნებაო.

ნათქვამია, ჩიტს რა უნდა და, ხელის აქნევაო. ჩემი მეუღლეც მიზეზს ეძებდა. იუკადრისა, როგორ გავბედე ჩივილი, ადგა და სულ წავიდა ოჯახიდან. გათხოვილ ქალიშვილს მოსიყვარულე ქმარმა გადაატანინა მამის „დაკარგვის“ დარდი. ვაჟი კი ვერაფრით ვერ შეეგუა მშობლის ღალატს. საოცარი გულჩათხრობილი და უხეში გახდა, ყველაზე და ყველაფერზე აიცრუა გული. სულ ყალყზე იდგა. ხან მთელი დღე ჩაკეტილი იყო შინ, ხან კი გადაიკარგებოდა სადღაც. ერთ დღეს თავის საუკეთესო მეგობარს უმიზეზოდ ჩხუბი აუტეხა და სასიკვდილოდ სცემა. ჩემი შვილი საბრალდებო სკამზე მოხვდა...

როგორ ფიქრობთ, მკითხველო! მოღალატე მამას, რომელმაც ჩინებულ ახალგაზრდას წონასწორობა დააკარგვინა და ციხის კარამდე მიიყვანა, ოდესმე შეეძლება თავი ბედნიერად ჩათვალოს?

აი, კიდევ ერთი ამბავი: მასაც ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. ყურადღებიანი ქმარი და მოყვარული მამა იყო. თანამდებობაც ჰქონდა და ღირსეულ კაცადაც იყო ცნობილი. ცოლმა გაიგო, რომ მის მეუღლეს სხვა გატაცებაც ჰქონდა, ხანდახან ღამის თორმეტ-პირველ საათზე შემოაღებდა სახლის კარს. წლების მანძილზე ეს ასე გრძელდებოდა. წლების მანძილზე შიშობდა ცოლი, დღეს თუ ხვალ ქმარი ოჯახს დატოვებდა და ამის გაფიქრებაზე ტკივილისაგან კრუნჩხვა ემართებოდა, მაგრამ არ უგრძნობინებია, საყვედურიც კი არ უთქვამს ქმრისათვის, არც შვილებთან დასცდენია მოღალატე მამის აუგი. ხალხშიც ღირსეულად ეჭირა თავი. ეტყობა, ცოლის სულგრძელობამ გასტეხა კაცი. მთლიანად შემოტრიალდა ოჯახისაკენ. მისი მოქმედებით ცოლს ისიც კი დაავიწყდა, თუ ოდესმე ღალატობდა ქმარი. შესანიშნავი შვილები აღზარდეს და დღესაც ბედნიერი ოჯახი აქვთ.

იქნებ მართლაც, ზოგჯერ მოთმინება სჯობს შვილების საკეთილდღეოდ?

ო. დადიანი



იზოლდა ხოფერია

# როცა სჭირდები სხვას...

არიან ადამიანები, რომელთა გარეშეც ძნელი იქნებოდა შრომა, ცხოვრება. ისინი შეიძლება დიდ საქმეებს არ აკეთებენ, მაგრამ ძალზე ადგებიან მათ, რომლებიც უფრო ფართო სარბიელზე გამოსულან და დასამახსოვრებელს, თაობებისათვის გამოსადეგ შემოქმედებას ეწევიან.

საქართველოს მხატვართა კავშირის რეფერენტი იზოლდა ხოფერია ასეთ პიროვნებად წარმოგვიდგება. გარდა იმისა, რომ მას წლების მანძილზე კარგად შეუგნია და აუთვისებია მთელი ანბანი თავისი მოვალეობისა, სხვადასხვაგვარ, ზოგჯერ ახალ და მოულოდნელ სიტუაციაშიც კი სწრაფად და სწორად ერკვევა, იღებს გადაწყვეტილებას და ყველაფერს აგვარებს ისე, როგორც საქმეს მოუხდება.

მას კარგად იცნობენ და აფასებენ ქართველი თუ სხვა ეროვნების მხატვრები, ურთიერთობა აქვს საკავშირო თუ მოძმე რესპუბლიკების მხატვართა კავშირებთან, ხშირად რეკავს ტელეფონით, ჩადის კიდეც საორგანიზაციო საქმეების მოსაგვარებლად, როცა ეწყობა ქართველ მხატვართა გამოფენები, მისი ზრუნვა მიჰყვება თან ბევრ მათგანს უცხოეთში, სადაც მათი შემოქმედება მნახველთა მოწონებას იმსახურებს და საიდანაც ჩვენი წარგზავნილები ოქროს მედლებით ბრუნდებიან.

იზოლდა ხოფერიას ხელოვანთა ოჯახში ტრიალი იმდენად გამოადგა, რომ მხატვრული გემოვნება, ალღო და ნიჭი განუვითარდა... კერამიკოს რეზო მეტრეველის „გაკვეთილები“ სასიკეთოდ გამოიყენა და თავისთვის რამოდენიმე კერამიკული ნიმუში დაამზადა.

მარტო ადამიანებისადმი გულისხმიერების, ყოველთვის სხვისი დახმარების და კეთილი სურვილების გამომხატველი არ არის ქალბატონ იზოლდას შინაგანი ბუნება. მასში კარგი დიასახლისის ნიჭიერებაცაა შეფარებული. კულინარიისადმი მისი სიყვარული ცალმხრივი როდია. იგი ფაქიზი გემოვნებისა და ფანტაზიის გამოყენებით რთავს და ალამაზებს ყველაფერს, რასაც ქმნის.

რამდენ დელეგაციას ან მხატვართა კავშირში სტუმრად ჩამოსულს გამასპინძლებია თავისი იშვიათი ნახელავით ქალბატონი იზოლდა, განსაკუთრებით ტკბილეული ხიბლავს ყველას, როგორც გემოთი, ისე გაფორმებით. წლების მანძილზე მდიდრდება მისი ფანტაზია უცხოეთიდან ჩამოტანილი ნამცხვრების წიგნებით და ალბომებით, იაპონელ, უნგრელ, ჩეხ კულინარებთან შეხვედრებით, მათი საწარმოების დათვალიერებით, ტკბილეულის რეცეპტურის, გამოცხობისა და გაფორმების გაცნობით. (იაპონიაში რა თანხაც კი ჰქონდა, ყველაფერი ტკბილეულის წიგნების შესაძენად დახარჯა). ქალბატონმა იზოლდამ მოახერხა გაესინჯა იაპონელ, უნგრელ, ჩეხ კულინართა მიერ დამზადებული ნამცხვრები, როგორც დეგუსტატორმა, აღმოაჩინა მათში მისთვის ზოგი ახალი, მანამდე უცნობი კომპონენტი და ნიჭიერად, თავისებურად შეუთავსა იგი მისეულს.

მასთან სტუმრად ნამყოფი ფინელი მხატვარი ქალი წერდა, რომ იზოლდას საოცარი ნამცხვრები აქვს, რომლებიც დიდ სიამოვნებას გვანიჭებს, როცა მივირთმევთ.

მართლაც ბევრი მოხიბლულა მისი პიროვნებით და მისი ჰობით, რასაც შეიძლება ხელოვნება უწოდო.

და აი, ჩვენც ვთხოვეთ ქალბატონ იზოლდას ჟურნალში გამოსაქვეყნებლად მოეწოდებინა რჩევები თავისი მდიდარი გამოცდილებიდან, რაზეც იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა.

## რამდენიმე საჭირო რჩევა:

თავიდანვე აუცილებელია იცოდეთ, რომ ყველა პროდუქტი, რომელიც ცომში და კრემში შედის, უნდა იყოს ახალი და ერთიდაიგივე ტემპერატურის. არაფრით არ შეიძლება მოზილო ცომი, ან ათქვიფო კვერცხი მაცივრიდან გამოღებული პროდუქტებით. ამიტომ სასურველია ყველაფერი (ფქვილი, კარაქი, კვერცხი, არაჟანი, მაწონი) რასაც ცომში იყენებთ, წინასწარ გამოიღოთ მაცივრიდან.

თუ თქვენ ცხობა დილით უნდა დაიწყოთ, მაშინ ყველაფერი საღამოს მოამზადეთ.

კვერცხი აუცილებლად ახალი უნდა იყოს, ფქვილი კი — გაცრილი.

კარაქის კრემისათვის კარაქი უნდა იყოს რბილი და ელასტიური, ზოგჯერ შეიძლება ის ხელითაც ვზილოთ და ამ გზით ზედმეტი სითხე მოვაშოროთ.

მხოლოდ ძალიან ახალი კვერცხისგან მიიღება საუკეთესო ბისკვიტი და ბეზე. კვერცხის ცილა და გული ერთმანეთს ძალიან ფრთხილად უნდა მოშორდეს, რომ ცილაში არ აღმოჩნდეს სულ პატარა გულიც კი. ჭურჭელი, რომელშიც ცილა ითქვიფება, იდეალურად უნდა გაირეცხოს, თორემ მასზე დარჩენილი სულ უმნიშვნელო ცხიმი (რომელიც შედის კვერცხის გულში) ხელს შეუშლის ცილის კარგად ათქვეფას.

ბეზე კარგი გამოგივათ, თუ ცილას ერთი დღეღამე მაცივარში იმავე ჭურჭლით შეინახავთ, რომელშიც უნდა ათქვიფოთ.

თუ თქვენ ვერ მოასწრებთ ბისკვიტის ან სხვა ნამცხვრის მომზადებას, მაშინ ჩაიზე მოწვეულ სტუმრებს დესერტად შეგიძლიათ მიართვათ კრემი, თუნდაც მოხარშული, რომელსაც მიიტანთ მაღალი, გამჭვირვალე ჭიქებით.

კრემი შეგიძლიათ მორთოთ ნიგვზით, ნუშით, გახეხილი შოკოლადით, ნაირფერი ჟელეთი.

ნამცხვრებისა და ტორტებისათვის აუცილებელია ორნაირი კრემის მომზადება — კარაქის და მოხარშულის. ისინი შემდეგნაირად მზადდება:

**მოხარშული კრემისათვის** უნდა

დ. იაკობაშვილის ფოტოები







ეროვნული ბიბლიოთეკა

აიღოთ 1 ლიტრი რძე, 16 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი და 8-9 სუფრის კოვზი თეთრი პურის ფქვილი.

რძე შეათბეთ, ჩაყარეთ შიგ ერთად არეული შაქარი და ფქვილი, კარგად მოურიეთ, რომ არ შეიკრას გუნდებად. ურიეთ ხის კოვზით დაბალ ტემპერატურაზე. ადუღებიდან სამი წუთის შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ, ათქვიფეთ მიქსერით, გადაიღეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და შედგით მაცივარში 1-2 საათით.

**კარაქის კრემის** მოსამზადებლად ივარაუდეთ 400 გრამ დარბილებულ კარაქზე 200 გრამი სიროფი.

კარაქი მიქსერით ათქვიფეთ, სანამ არ გათეთრდება და ფუმფულა არ გახდება. შემდეგ თანდათანობით ჩაასხით სიროფი, დაუმატეთ ცოტაოდენი ვანილი და 1 სუფრის კოვზი კონიაკი ან რომი.

როცა მოხარშული და კარაქის კრემები გამზადდება, აურიეთ ისინი ერთმანეთში. კიდევ შეიძლება სხვადასხვა კრემის მიღება. მაგალითად, თუ კარაქის კრემში ყავის სიროფს დაუმატებთ, თქვენ მიიღებთ ბრწყინვალე, არომატულ, ნაზ ყავის კრემს.

**სიროფი კრემისა და ჟელესათვის:** აიღეთ 1 კილოგრამი შაქრის ფხვნილი და დაასხით ნახევარი ლიტრა წყალი. აადუღეთ, მოხადეთ ქაფი და გააცივეთ.

**ყავის სიროფი ასე მოამზადეთ:** 2 სუფრის კოვზ გასახსნელ ყავას დააყარეთ ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი და დაასხით ნახევარი ჭიქა წყალი, აადუღეთ, მოხადეთ ქაფი და გააცივეთ.

**წითელი ფერის ჟელე მოამზადეთ** ბროწეულის წვენისაგან, მწვანე კი — ტარხუნის ან პიტნის სიროფისაგან.

**წითელი ჟელე ასე მიიღება:**

1 სავსე სუფრის კოვზ ჟელატინს დაასხით 1 ჭიქა ანადუღარი ცივი წყალი, დადგით 2 საათს, შედგით ნელ ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე, მაგრამ არ აადუღოთ. მასში ჩაასხით ერთი ჭიქა ბროწეულის წვენი და 1 ჭიქა სიროფი.

**მწვანე ჟელეს** მისაღებად საჭიროა 2 ჭიქა პიტნის ან ტარხუნის სიროფი.



# ცომეულის მომზადება

**ფხვიერი ცომი** ყველაზე ადვილი მოსამზადებელია. მისგან შეიძლება დამზადდეს სხვადასხვა ფორმის ნამცხვარი. ცომი შეიძლება მოვათავსოთ დაბალ გვერდებიან ფორმაში და გამოვაცხოთ სხვადასხვა ფორმის თხელ-თხელი ბისკვიტები — მრგვალი, ოვალური, კვადრატული. ამისათვის შეიძლება გამოვჭრად შესაფერი ფორმები სქელი „ფოლგისგან" ან ალუმინისგან. გამოცხობის წინ ცომი აუცილებლად უნდა დაიჩხვლიტოს ჩანგლით, რომ ფორმა არ დაკარგოს, შემდეგ შეიდგას გაზქურაში და დარჩეს, სანამ არ გავარდისფერდება.

3-4 ასეთი ბისკვიტისაგან შეიძლება ნამცხვრის მომზადება, თითოეულ მათგანზე შეიძლება წაუსვათ სხვადასვა ჯემი, კონფიტური, კრემი (თქვენი გემოვნებით). ერთი სიტყვით, ყოველ დიასახლისს აქვს იმროვიზაციის დიდი საშუალება.

ფხვიერი ცომისათვის აუცილებელია შემდეგი პროდუქტები: 300 გრამი ფქვილი, 200 გრამი კარაქი, 100 გრ პუდრა-შაქარი, 2-3 კვერცხის გული, ცოტაოდენი მარილი და ვანილი.

ფქვილი და შაქარი აურიეთ ერთმანეთში, ჩაყარეთ მარილი და ვანილი და კვლავ აურიეთ. შემდეგ ჩადეთ კარაქი და დასრისეთ ფქვილთან ერთად. დაუმატეთ 2-3 კვერცხის გული და სწრაფად მოზილეთ ცომი. იგი ხელზე არ უნდა გეკრობოდეთ და უნდა იყოს რბილი და ფაფუკი. თუ ცომი ხელზე გეწებება, დაუმატეთ ცოტაოდენი ფქვილი. გამზადებული ცომი შედგით ნახევარი საათით მაცივარში და შემდეგ გამოაცხვეთ.

**ტორტის ბისკვიტი:** 6 კვერცხი, 3 სუფრის კოვზი თბილი წყალი, 130 გრამი შაქრის ფხვნილი, 125 გრ. ფქვილი.

მოაშორეთ კვერცხის გული ცილას, გულში ჩაასხით თბილი წყალი და კარგად ათქვიფეთ მიქსერით. დაუმატეთ შაქრის ნახევარი, ცალკე ათქვიფეთ ცილა, ბოლოს დაუმატეთ მორჩენილი შაქარი. შემდეგ ათქვეფილ კვერცხის გულში ფრთხილად შეურიეთ ცილა, ჩაყარეთ ფქვილი, ცოტაოდენი ვანილი, ყველაფერი გულდაგულ და ფრთხილად აურიეთ. ჩაასხით ცხიმწასმულ და ორცხობილამოყრილ ტორტის ფორმაში (24 სმ-ის დიამეტრით) შედგით გაცხელებულ ღუმელში და გამოაცხვეთ საშუალო ცეცხლზე 45 წუთის განმავლობაში. ფორმა რომ შეგრილდება, ბისკვიტი მერე ამოიღეთ. თუ გსურთ უფრო დიდი ბისკვიტის გამოცხობა, აიღეთ დიდი ფორმა და ზემოთ ნახსენები მასალის რაოდენობა გაზარდეთ ერთნახევარჯერ, ორჯერ და ა. შ.

იზოლდა ხოფერია

გარეკანის პირველ გვერდზე — საკავშირო კომკავშირის XX ყრილობის დელეგატი ნინო სიხარულიძე. დ. იაკობაშვილის ფოტო; მეოთხეზე — საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი ლიკა ქავჟარაძე. ი. რიდალიოვის ფოტო.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6. 03. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 04. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.



Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000 შეკვ. 623 უე 10959

# მოდა



მხატვარი-მოდელიორები მ. დიღმელაშვილი და ნ. კობალაძე

ინდექსი 76178

6224/79

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

